პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 199 (9359)

პარასკევი 22 აგვისტო 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

ლენინ-სტალინის პარტიის დროშით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1952 წლის 5 ოქტომბერს საკავშირო კ. პ. (ბ) მორიგი XIX ყრილობის მოწვევის შესახებ.

XIX ყრილობის დღის წესრიგი შემდეგია:

1. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება—მომხსენებელი ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. მ. მალენკოვი.

2. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება—მომხსენებელი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. პ. გ. მოსკატოვი.

3. პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ — მომხსენებელი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. ზ. საბუროვი.

4. ცვლილებები საკავშირო კ. პ. (ბ) წესდებაში — მომხსენებელი ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ხ. ხრუშჩოვი.

5. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

ამავე დროს გამოქვეყნებულია პროექტი პარტიის XIX ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და პროექტი პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტისა.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIX ყრილობის მოწვევა დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაა ჩვენი პარტიის ცხოვრებაში, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დროიდან განვლილი წლების მანძილზე სსრ კავშირის ხალხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით მოიპოვეს ახალი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი, განუზომლად განამტკიცეს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, გაძლიერეს მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, გიგანტური ნაბიჯი გადადგეს წინ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

მოხსენებაში XVIII ყრილობაზე, ახასიათებდა რა პარტიის მოღვაწეობას ორ ყრილობას შუა განვლილი დროის მანძილზე, ამხანაგი სტალინი ამბობდა: „პოლიტიკური ხაზისა და ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობის თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდი იყო პერიოდი ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის სრული გამარჯვებისა“. პერიოდი XVIII და XIX ყრილობებს შორის არის პერიოდი კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ახალი ტრიუმფისა, პოლიტიკისა, რომელიც საბჭოთა წყობილების სახიცოცხლო საფუძველს წარმოადგენს, პერიოდი ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების გამარჯვებისა.

პარტიის XVIII ყრილობა მიმდინარეობდა ისეთ პირობებში, როცა სსრ კავშირი შევიდა განვითარების ახალ ხანაში, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და კომუნისტურ საზოგადოებაში თანდათანობით გადასვლის ხანაში.

მოხსენებაში XVIII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა ღრმა ანალიზი გაუკეთა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, ამხილა ომის გამჩაღებელთა გეგმები, განსაზღვრა პრინციპები საბჭოთა საგარეო პოლიტიკის — მშვიდობისა და ყველა ქვეყანასთან საქმისნი ურთიერთობის განმტკიცების პოლიტიკის — დარგში, დასახა სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პროგრამა.

სტალინური პროგრამით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი ძალებსა და შრომას არ იშურებდა მესამე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა შეწყვეტილ იქნა ჩვენს ქვეყანაზე ჰიტლერელ დამპყრობთა ვერაგული თავდასხმით. მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდი დამთავრდა. დაიწყო ჰიტლერელი დამპყრობლების წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომის პერიოდი. სტალინ-სტალინის პარტიამ საბჭოთა ხალხი დარაზმა დიდი სამამულო ომისათვის, გააერთიანა ფრონტისა და ზურგის ღონისძიებანი. საბჭოთა კავშირის ხალხები კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმენ თავიანთი მშობლიური პარტიის გარშემო, რათა დაეცვათ სოციალიზმის დიდი მონაპოვარნი.

„საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართავი ძალა როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ისე ომის დღეებში არის ლენინის პარტია, ბოლშევიკების პარტია“, — ამბობს ამხანაგი სტალინი.

ჩვენი გმირული პარტიის, გენიალური ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა დაიცვა ჩვენი სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, გაათავისუფლა ფაშიზმის მიერ დამონებული ევროპის ხალხები, იხსნა მსოფლიო ცივილიზაცია ფაშისტ დამრბევთაგან. ომის მკაცრი განხაცდელის დღეებში, ისე როგორც არასოდეს, გამოვლინდა შესანიშნავი ბოლშევიკური თვისებები, რომლებიც პარტიამ ჩაუნერგა საბჭოთა ხალხს, — მამაცობა, გულადობა, ბრძოლაში უშიშარობა, მზადყოფნა ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ჩვენმა ხალხმა სამართლიანად მოიხვეჭა გმირი ხალხის სახელი.

სამამულო ომში საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვება ნიშნავდა, რომ — გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ, რომელიც წარმოადგენს ნამდვილ სახალხო წყობილებას, საზოგადოების ორგანიზაციის საუკეთესო ფორმას;

— გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, რომელიც წარმოადგენს მრავალეროვანი სახელმწიფოს ნიმუშს;

„პრავდის“ 21/VIII მოწინავე

— გაიმარჯვეს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა არმიამ, რომელიც ჩვენი დროის პირველხარისხოვანი არმიაა.

სამამულო ომმა ცხადყო საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმის დიადი, უძლეველი ძალა. მთლიანად ჩაიფუშა მტრების ვარაუდი, რომ საბჭოთა კავშირი დასუსტდებოდა. საბჭოთა სახელმწიფო კიდევ უფრო განმტკიცდა სამამულო ომის მსვლელობაში, მთელი ძალით გამოვლინდა საბჭოთა წყობილების გადამწყვეტი უპირატესობანი კაპიტალისტური წყობილების წინაშე.

ძლევამოსილად დაამთავრა რა სამამულო ომი, საბჭოთა ხალხმა უმაგალითო მასშტაბით გააჩალა მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობა.

ამხანაგმა სტალინმა 1946 წლის 9 თებერვლის ისტორიულ სიტყვაში განსაზღვრა კომუნისტური პარტიის უახლოესი მომავლისა და უფრო ხანგრძლივი პერიოდის მუშაობის გეგმები.

ლაპარაკობდა რა სსრ კავშირის ხახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანებია ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონების აღდგენა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონის აღდგენა და შემდეგ ამ დონის გადაჭარბება ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით.

ომისშემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის წლები, რომლებიც აღინიშნა მეოთხე სტალინური ხუთწლედის წარმატებით შესრულებით, ჩვენი სამშობლოს ისტორიაში შევა როგორც კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ფურცელი.

ცნობილია, რომ მეოთხე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო მთელი მრეწველობის პროდუქციის მოცულობის გადიდება 48 პროცენტით ომამდელ დონესთან შედარებით. ფაქტიურად ხუთწლედის უკანასკნელ წელს სამრეწველო პროდუქცია დამზადდა 73 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს. სსრ კავშირის მრეწველობამ ხუთწლიანი გეგმა შეასრულა ვადამდე — ოთხ წელიწადსა და სამ თვეში. მრეწველობასთან ერთად წარმატებით ვითარდება სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ხუთწლედის უკანასკნელ წელს ნაციონალური შემოსავალი 64 პროცენტით გადიდდა 1940 წელთან შედარებით. საბჭოთა მთავრობამ ომისშემდგომ წლებში განახორციელა ფულის რეფორმა, გააუქმა ყველა სახურსათო და სამრეწველო საქონლის სავაჭრო სისტემა და სისტემატურად ამცირებდა მასობრივი მოხმარების საქონლის ფასებს.

მაშინ როცა საბჭოთა კავშირში გიგანტური მასშტაბით წარმოებს მშვიდობიანი მშენებლობა, განუხრელად უმჯობესდება ხალხის მასების კეთილდღეობა, კაპიტალის ქვეყნებში ჩაღდება გამალებული შეიარაღება, იკვეცება სამოქალაქო მშენებლობა, იზრდება უმუშევრობა, მილიონობით მშრომელი განიცდის სიღატაკეთა და შიმშილით ტანჯვას.

საბჭოთა ხალხი მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა და წარმატებით წყვეტს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს. საბჭოთა მთავრობის ისტორიული დადგენილებანი კომუნიზმის დიად მშენებლობათა შესახებ ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის გენიალური ლენინური იდეის ახალი მკაფიო განხორციელებაა. „კომუნიზმი, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია...“ ამხანაგ სტალინის ინიციატივით გაჩაღებული მშენებლობა გრანდიოზული ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა ვოლგასა და დნეპრზე, დონსა და ამუ-დარიაზე მოასწავებს საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალების განვითარების ახალ ეტაპს. უკვე მწყობრში ჩადგა ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი — კომუნიზმის დიად მშენებლობათა პირმშო.

ჩვენი პარტია ყოველთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას, იდეოლოგიურ მუშაობას, კადრების, ყველა კომუნისტის აღზრდას ლენინიზმის სულისკვეთებით. პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მითითებათა საფუძველზე პარტია უდიდეს იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას ახორციელებს. მილიონობით საბჭოთა ადამიანი სწავლობს მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის კლასიკურ ნაწარმოებებს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა გადაწყვეტილებებმა, ამხანაგ სტალინის მითითებებმა იდეოლოგიურ საკითხებზე ახალი ეტაპი შექმნეს კულტურულ მშენებლობაში, უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს მთელი იდეოლოგიური მუშაობა, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმე. ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებათა მიზანია უზრუნველყოს მებრძოლი საბჭოთა პატრიოტული სულისკვეთების გაბატონება მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეთა რიგებში, ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოს სოციალისტური კულტურის ყველა საშუალება: პრესა, პროპაგანდა, მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება.

პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„პარტიის კადრები პარტიის მეთაურთა შემადგენლობაა, ხოლო ვინაიდან ჩვენი პარტია ხელისუფლების სათავეში დგას, — ისინი წარმოადგენენ აგრეთვე ხელმძღვანელი სახელმწიფო ორგანოების მეთაურთა შემადგენლობას. მას შემდეგ რაც შემუშავებულია სწორი პოლიტიკური ხაზი, პრაქტიკით შემოწმებული, პარტიის კადრები პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის გადამწყვეტ ძალად იქცევიან“.

სწორედ იმიტომ, რომ პარტია ყოველდღიურად ახორციელებს ამხანაგ სტალინის მითითებებს კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის შესახებ, ჩვენს ქვეყანაში გაიზარდნენ და პრაქტიკულ სამუშაოზე გამოიწრთვნენ მრავალრიცხოვანი კადრები. პარტია მათ ზრდის მინდობილი საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, საკუთარი თავისა და სხვებისადმი მომთხოვნელობის, ნაკლოვანებათა გაბედული კრიტიკის სულისკვეთებით. კრიტიკა და თვითკრიტიკა, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, წარმოადგენს ჩვენი განვითარების კანონს, ყოველგვარი რუტინისა და დახავსებულობის, ყოველივე ძველის, მომაკვდავის, რაც კი ხელს უშლის ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას, დაძლევის გადამწყვეტ საშუალებას.

საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიული გამარჯვებანი უდიდეს გაელვნას ახდენენ საერთაშორისო ცხოვრების განვითარებაზე. ათეული წლების მანძილზე საბჭოთა კავშირი მტკიცედ ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, დაუცხრომლად იბრძვის მშვიდობისათვის, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ. ლენინურ-სტალინურმა საგარეო პოლიტიკამ, სსრ კავშირის თანმიმდევრულმა და გადამწყვეტმა ბრძოლამ მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობისათვის უზრუნველყო ჩვენი ქვეყნისათვის ყველა ქვეყნის ახეულ მიღიონობით ადამიანის სიმპათია და მხარდაჭერა.

საბჭოთა კავშირი ახლა მშვიდობისათვის იბრძვის, სათავეში უდგას დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრ ბანაკს. მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია სსრ კავშირის განმტკიცება და მთელ რიგ ქვეყნებში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარება. საბჭოთა კავშირის დიადი მაგალითით აღფრთოვანებულნი, სოციალიზმის გზას დაადგნენ პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა. მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის განმტკიცების მძლავრი ფაქტორია მრავალმილიონიანი ჩინელი ხალხის გამარჯვება, რომელმაც თავისი ქვეყნიდან გააძევა იმპერიალისტი მტაცებლები და შექმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ევროპის ისტორიაში მობრუნების პუნქტი იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.

საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. პრესაში გამოქვეყნებული პროექტი პარტიის XIX ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტი ჩვენს პარტიას, საბჭოთა ხალხს უსახავს კომუნიზმის გზით შემდგომი წინსვლის შესანიშნავ პერსპექტივებს.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა განსაზღვრავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას და უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ მნიშვნელოვან ზრდას.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტში სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ აღნიშნულია:

„ეს (მეხუთე) ხუთწლიანი გეგმა კვლავ ცხადყოფს მთელი მსოფლიოს წინაშე სოციალიზმის დიდ სასიცოცხლო ძალას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის ძირეულ უპირატესობებს კაპიტალისტური სისტემის წინაშე. ეს ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმას. იგი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებასა და გაფართოებას და ყველა იმ ქვეყანასთან ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას, რომელთაც სურთ ვაჭრობის განვითარება თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთხელსაყრელობის საწყისებზე.

საბჭოთა ეკონომიკის მშვიდობიანი განვითარება, რასაც ხუთწლიანი გეგმა სახავს, უპირდაპირდება კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკას, რომლებიც მიდიან სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის, კაპიტალისტებისათვის უდიდესი მოგების მიღებისა და მშრომელთა შემდგომი გაღატაკების გზით“.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის მშრომელები აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტურ შეჯიბრებაში სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, აგებენ კომუნიზმის დიდებულ შენობას.

„ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, — ნათქვამია პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტში, — რომ ააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველი ღონით განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან“.

თავის XIX ყრილობას ჩვენი პარტია ეგებება ერთიანი, მჭიდროდ დარაზმული თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო.

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით, წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

მშრომელთა კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მოწვევა აღვნიშნოთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში ახალი გამარჯვებებით

პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ნიშნით

ამ დღეებში განსაკუთრებული აღტაცების განწყობილება, სიხარული ეუფლებათ თბილისელ ორთქლმავალვაგონშემკეთებლებს.

ჩვენი ხალხის ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის — ბოლშევიკური პარტიის მორიგი XIX ყრილობა! — რამდენ რამეს ეუბნება იგი ყოველ მუშის, ინჟინრის, მოსამსახურის, ყოველი მშრომელის გულს, პარტიის წევრი იქნება იგი თუ უპარტიო!

ბოლშევიკური პარტიისადმი, მისი ცენტრალური კომიტეტისადმი უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული ერთხელ კიდევ გამოავლინეს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა, მთელმა კოლექტივმა, როცა ეცნობოდნენ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს საკავშირო კ. პ. (ბ) მორიგი XIX ყრილობის მოწვევის შესახებ, როცა აწყობდნენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტების კითხვას—„პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ და „პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტი“. ამ მასალების გაცნობით აღფრთოვანებული მუშები იღებენ ახალ საწარმოო ვალდებულებებს.

ამწყობი საამქროს სტახანოველმა მექვაბემ, კომუნისტმა აგიტატორმა ი. მაჩაიძემ საგიტაციო საუბრის დამთავრების შემდეგ ვალდებულება აიღო ყრილობის გახსნის დღემდე გეგმის გადამეტებით დაამზადოს 3 ორთქლმავლის კომპლექტი. ცნობას ბოლშევიკური პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ ასევე პატრიოტული აღფრთოვანებით გამოეხმაურა მექვაბე ზ. ჩიტიძე. მან ყოველდღიური საწარმოო დავალების 250 პროცენტით შესრულება და მასალების მომჭირნეობის ხარჯვით ქარხნისათვის 1.000 მანეთის ეკონომიის მიცემა იკისრა.

ჩქაროსანი ხარატის, მექანიკური საამქროს პარტბიუროს მდივნის ამხ. ი. ჭუმბურიძის უბრალო, მაგრამ გულში ჩამწვდომმა სიტყვებმა უფრო მეტი შრომითი ენთუზიაზმი აღუძრა მის ამხანაგებს.

—ამ ღირსშესანიშნავ მოვლენაზე ჩვენი პასუხი იქნება თავდადებული შრომა, მეტი ორთქლმავლისა და ვაგონის შეკეთება, ტრანსპორტისათვის მეტი სათადარიგო ნაწილების მიცემა, სახალხო-სამეურნეო ტვირთების შეუფერხებელი და მზარდი გადაზიდვისათვის ხელის შეწყობა, რითაც ჩვენს წვლილს შევიტანთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში! — ამბობენ ისინი.

ქარხნის სტახანოველმა მჭედელმა კ. ილურიძემ განაცხადა: ბოლშევიკური პარტიის მორიგი ყრილობის პატივსაცემად ვკისრულობ ცვლის ყოველდღიური დავალება 300 პროცენტით გავანაღდო.

რადიოგადაცემათა კოლექტიურ მოსმენა, საუბრები, გაზეთების კითხვა მოეწყო ქარხნის ოცდასამსავე საამქროში. ყველგან გაისმოდა ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების გამომხატველი მგზნებარე სიტყვები.

ქარხნის კოლექტივმა 7 თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა. ასევე შეასრულა მან აგვისტოს პირველი ორი დეკადის საწარმოო გეგმა. ახლა ის ვალდებულებას კისრულობს ყრილობის გახსნის დღეს — 5 ოქტომბერს კიდევ უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდეს.

მეჯალურგეები სტახანოვურ ვახტზე

რუსთავი. (საკ. კორ.). ცნობამ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მორიგი XIX ყრილობის მოწვევის შესახებ ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქის მშრომელთა დიდი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია. მეტალურგიული საწარმოების და სამშენებლო ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურენი სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და გადიდებული შრომითი ვალდებულებანი იკისრეს.

ყრილობის მოწვევის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამოქვეყნების პირველსავე დღეს მარტენის საამქროს ახალგაზრდა მეფოლადეებმა ტ. შენგელაიამ, ნ. გრეჩიხინმა და ი. სამცოვმა ჩქაროსნული ნადნობი მიიღეს და გეგმის გადამეტებით სამშობლოს ათობით ტონა ფოლადი მისცეს. ცნობილმა ჩქაროსანმა მეფოლადემ შ. კუხალეიშვილმა ვალდებულება იკისრა მიმდინარე წლის 5 ოქტომბრამდე დაზოგოს 30 ტონა მაზუთი, 6 პროცენტი ფეროსილიციუმი და ყველა ღონე ჩქაროსნული მეთოდით განახორციელოს. სტახანოველი მეფოლადის შ. კვახაძის ვალდებულებაა 5 ოქტომბრამდე 15 ტონა საწვავის დაზოგვა და ფოლადის გამოშვებაში წუნის მთლიანად აღმოფხვრა.

ბლუმინგის საამქროს მოწინავე ცვლამ, რომელსაც ს. საცერაძე ხელმძღვანელობს, გადაწყვიტა ყრილობის მოწვევის დღემდე გეგმის გადამეტებით გაგლინოს ასობით ტონა ფოლადი. უფროსი ოპერატორი გ. ამბოკაძე, ზეინკალთა ბრიგადირი ლ. ნახუცრიშვილი, ამწეს მემანქანე ი. ერმაკოვი და სხვები პირობას იძლევიან ყოველდღიური საწარმოო დავალებანი 200 პროცენტით გაანაღდონ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის საბინაო მშენებლობის კოლექტივმა იკისრა მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, ყრილობის მოწვევის დღისათვის საექსპლოატაციოდ გადასცეს ხუთი საცხოვრებელი სახლი და ერთი საბავშვო ბაღი.

თბილისელი ჩარხმშენებლების გაღაწყვეტილება

გაზეთები ხელიდან ხელში გადადიოდა.

მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი მუშების რაოდენ სიყვარულზე, ერთგულებაზე მეტყველებდა მათი უდიდესი ინტერესი პარტიის XIX ყრილობის გამოქვეყნებული მასალებისადმი!

როდესაც მეორე მექანიკური საამქროს აგიტატორმა ნიკოლოზ ვარდანაშვილმა პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ სტალინის ხელმოწერილი ცნობა წაიკითხა, მსმენელებმა დიდი სიხარული მქუხარე ტაშით გამოხატეს.

— რით ვუპასუხოთ, როგორ აღვნიშნოთ? — აი, რა შეიძლებოდა ამოეკითხა ადამიანს სახელდახელოდ შეკრებილი მუშების სახეზე, სულგანაბულნი რომ უსმენდნენ აგიტატორს, რომელიც ახალი ხუთწლედის პროექტის პირველ თავს აცნობდა მსმენელებს.

თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის სახელოვან კოლექტივს გარკვეული წვლილი უკვე შეაქვს ახალი ხუთწლედის შესრულებაში. მიმდინარე წელს აქ ითვისეს და გამოუშვეს მცირე ზომის სამილე ჩარხები.

ეს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია იმ დიდი სამუშაოებისა, რომლებიც საბჭოთა ჩარხმშენებლებმა უნდა შეასრულონ ახლო მომავალში.

საუბრის დამთავრების შემდეგ მუშები ახალ საწარმოო ვალდებულებებს იღებდნენ.

— 200-ის ნაცვლად 250 პროცენტით გავანაღდებთ თვიურ დავალებას! — ამბობს მრანდავი ა. ცერცვაძე.

— ორმაგად და კიდევ მეტად შევასრულებ ყოველდღიურ გეგმებს! — განაცხადა კომკავშირელმა ხარატმა ვ. ზანგურაძემ.

გუშინ ჩქაროსანი ხარატი პ. ტენიშჩევი სტახანოვურ ვახტზე დადგა და იკისრა საწარმოო დავალება 320 პროცენტით გაენაღდებინა. მას დღის 2 საათისთვის უკვე გამოჩარხული ჰქონდა თხუთმეტ საათში გამოსაჩარხავი ხუთი დიდი კბილანა. სახელოვანმა სტახანოველმა ვალდებულება სამმაგად და უფრო მეტად გაანაღდა, და განა მარტო ტენიშჩევმა იმუშავა ასე!

ახალი შრომითი აღმავლობით აღნიშნავენ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში უდიდეს მოვლენას — პარტიის XIX ყრილობის მოწვევას — თბილისელი ჩარხმშენებლები.

ავამაღლოთ სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობა

საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს აპარატის მუშაკები სიხარულით შეხვდნენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ.

თანამშრომლებთან საუბარი გამართა სამინისტროს პარტბიუროს მდივანმა ამხ. ა. ნარჩომაშვილმა.

პროპაგანდის სამმართველოს უფროსმა ა. გიგინეიშვილმა განაცხადა, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტში კვლავ მთავარ ამოცანად რჩება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ამაღლება. იმისათვის, რომ წარმატებით შეეასრულოთ ეს ამოცანა, საჭიროა ფართოდ გავავრცელოთ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიღწევები, ნოვატორთა გამოცდილება მთელი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკუთრებად გავხადოთ.

მეხილეობის სამმართველოს უფროსმა ი. მაღალაშვილმა ილაპარაკა მეხილეობის კულტურაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის ფართოდ დანერგვის საჭიროებაზე, რის შესახებ ნათლად არის ლაპარაკი ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტში.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე მევენახეობის სამმართველოს მთავარმა აგრონომმა ა. გამყრელიძემ, სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველოს სექტორის უფროსმა დ. ფაილოძემ, ტექნიკური კულტურების სამმართველოს უფროსმა დ. ჯოჯუამ, ჩაის სამმართველოს უფროსმა აგრონომმა შ. საყვარელიძემ.

ტექნიკური კულტურების სამინისტროს თანამშრომლებმა პირობა დაიდეს იმუშაონ მეტი მონდომებით, მთელი თავისი ძალების დაძაბვით, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის მოთხოვნათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა. მე-2 მექანიკური საამქროს აგიტატორი ნიკოლოზ ვარდანაშვილი მუშებს აცნობს მეხუთე ხუთწლედის პროექტს.

ფოტო რ. აკოფოვისა

ი. ბ. სტალინმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი

20 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი.

მიღებას დაესწრნენ სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრეზიერის მოადგილე ჩენ იუნი, სახელმწიფო ადმინისტრაციულ საბჭოსთან არსებული საფინანსო-ეკონომიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლი ფუ-ჩუნი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ჯან ვენ-ტიანი, სახალხო-რევოლუციური სამხედრო საბჭოს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე სუ იუი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური მდივანი ში ჯე.

მიღებას აგრეთვე დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ნ. ტ. ფედორენკო.

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

სრულყოთ პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდები

ძალაძ თბილისის სტალინის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე

თბილისის სტალინის რაიონის პარტრულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც შეიარაღებული არიან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით, ამხანაგ სტალინის ისტორიული მითითებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში შეცდომების შედეგად გამოწვეული ნაკლოვანებებისა და ჩავარდნების აღმოსაფხვრელად.

რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში შედგა, მომხსენებელმა, პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. პეტრიაშვილმა და მოხსენების გამო სიტყვებით გამოსულმა დელეგატებმა დაწვრილებით ილაპარაკეს იმ მუშაობის შესახებ, რასაც ეწევიან რაიონის ბოლშევიკები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის განახლებული ხელმძღვანელობის მეთაურობით.

მუშაობის ახლებურად მოწყობის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული როლი. მათი უმრავლესობა, რომლებსაც ახლა უფრო კონკრეტულად და ოპერატიულად ხელმძღვანელობს პარტიის რაიკომი, სათავეში უდგას მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, დღითიდღე აუმჯობესებს სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობას.

პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებამ ხელი შეუწყო საწარმოთა კოლექტივებს სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში. რაიონის საწარმოებმა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დავალება 105,2 პროცენტით შეასრულეს, ამავე პერიოდში 12,6 პროცენტით გაადიდეს შრომის ნაყოფიერება, მიაღწიეს პროდუქციის თვითღირებულების შემდგომ შემცირებას, მინიმუმამდე დაიყვანეს წუნი, გაუმჯობესეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

მაუდ-კამეოლის ფაბრიკამ ნახევარი წლის დავალება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღდა და ასორტიმენტის სრული დაცვით გეგმის გადამეტებით გამოუშვა 64,8 ათასი მეტრი შალის ქსოვილი. ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივს საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფესიული საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა. რაიონის მოწინავე საწარმოთა რიგებში დგანან ქარხანა „ჰიდრომეტპრიბორი“, სპილენძსაგლინავი ქარხანა, ლუდის პირველი, მეორე და მესამე ქარხნები.

მომხსენებელმა დელეგატების ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა იმ საწარმოთა მუშაობაზე, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ დავალებას. ის ფაქტი,—თქვა ამხ. პეტრიაშვილმა,—რომ რაიონის 35 საწარმოდან ცხრა ვერ ასრულებს სახელმწიფო დავალებას, იმას მოწმობს, რომ ზოგიერთი საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელი და პარტიული ორგანიზაცია ვერ დგას თავისი ამოცანების სიმაღლეზე. მათ ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა თბილისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ ა. მგელაძის მითითებათა შესაბამისად.

საწარმოო დავალებათა შესრულებაში სერიოზულად ჩამორჩნენ ლითონკონსტრუქციის ქარხანა, კუიბიშევის სახელობის ხის გადამუშავებელი ქარხანა, ფანერისა და რძის ქარხნები და სხვ. ამ საწარმოთა ჩამორჩენა პირველ რიგში იმით უნდა აიხსნას, რომ აქ პარტიული ორგანიზაციები ღრმად ვერ სწვდებიან წარმოების ეკონომიკას, საათანადოდ ვერ იყენებენ სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, ხელს არ უწყობენ კოლექტივს საწარმოო პროცესების გაუმჯობესებაში, არ იბრძვიან ნოვატორთა რიგების განუხრელი ზრდისათვის, ხოლო პარტიის რაიკომი ამ ორგანიზაციებს საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას ვერ უწევს.

უკანასკნელ დროს, ამბობს შემდეგ მომხსენებელი, რაიონში მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფო ქონების განიავებისა და დატაცების შემთხვევები. მაგრამ ეს სამარცხვინო მოვლენა მთლიანად ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. თამბაქოს №№ 1 და 2 ფაბრიკებსა და ზოგიერთ სხვა საწარმოში და სავაჭრო ორგანიზაციებში ვხვდებით ნედლი მასალის, მზა პროდუქციისა და ფულადი სახსრების დატაცებისა და გაფლანგვის ფაქტებს. აღმოფხვრილი არ არის აგრეთვე სპეკულაციის შემთხვევები, ხოლო მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები მთელი შესაძლებლობით არ იბრძვიან ამ ბოროტებათა სალიკვიდაციოდ, საჭირო ზომებს არ იღებენ სახელმწიფო ქონების გამნიავებელთა წინააღმდეგ.

საანგარიშო მოხსენებაში ფართოდ იყო გაშუქებული შინაპარტიული მუშაობის საკითხები, პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობისა და დახმარების საკითხები.

რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ უკანასკნელად მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა. ისინი ახლა რეგულარულად იხილავენ პარტიული და სამეურნეო მუშაობის საკითხებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, უნარიანად იყენებენ პარტიული კონტროლის უფლებას, ხელს უწყობენ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას, ზუსტად იცავენ შინაპარტიულ დემოკრატიას, უკეთ ეხმარებიან კომკავშირს. ამის ნათელსაყოფად მომხსენებელმა დაასახელა კონკრეტული მაგალითები, მაგრამ ყველაფერი ეს,—თქვა მან, — იმას როდი ნიშნავს, რომ რაიონის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში შინაპარტიული მუშაობა მოწოდების სიმაღლეზე იდგეს.

ზოგიერთ საწარმოთა ორგანიზაციაში ყურადღება არ ექცევა პარტიული კრების მომზადებისა და ჩატარების საქმეს. არის შემთხვევები, როცა კრებებს არარეგულარულად იწვევენ. მაგალითად, თამბაქოს № 1 ფაბრიკაში საანგარიშო პერიოდში (ხუთი თვე) პარტიული კრება მხოლოდ ორჯერ მოიწვიეს. პარტიის რაიკომის მუშაკებმა კი ეს დღემდე არ იცოდნენ.

№ 2 დისპანსერის, არტელ „ტყეკომბინატის“ და ზოგიერთი სხვა პარტიული ორგანიზაციების კრებებზე სისტემატურად მსჯელობენ წარმოების მტკივნეულ საკითხებზე, გამოაქვთ დადგენილებანი, მაგრამ როგორც წესი, არ იბრძვიან მათი განხორციელებისათვის. დადგენილებათა შესრულების შემოწმებას თვით პარტიის რაიკომშიც არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პარტიის რიგების ზრდა. მიმდინარე წლის მარტიდან დღემდე რაიონის 226 პირველადს პარტიულ ორგანიზაციას პარტიის წევრობის კანდიდატად არც ერთი კაცი არ მიუღია.

რაიონის პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის. მიმდინარე სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში უფრო ორგანიზებულად დამთავრდა მეცადინეობა. ახლა პარტიული ორგანიზაციები ახალი სასწავლო წლისათვის ემზადებიან. მაგრამ პარტიულ სწავლებაში ჯერ კიდევ არის ფორმალიზმი, განსაკუთრებით დამოუკიდებლად სწავლებაში. მომხსენებელმა გააკრიტიკა ცალკე პირველადი პარტიული ორგანიზაციები და პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება, რომლებმაც საბოლოოდ ვერ აღმოფხვრეს ფორმალიზმი პარტიულ სწავლებაში. დასასრულ ამხ. პეტრიაშვილმა ილაპარაკა საგიტაციო მუშაობისა და კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ.

ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს პარტბიუროს მდივანმა ამხ. მ. მანდენაშვილმა, რომელიც მოხსენების გამო კამათში პირველი გამოვიდა, ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარება კოლექტიური პარტიული ორგანიზაცია საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

— პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე,—თქვა მან, — სისტემატურად განვიხილავთ წარმოების საკითხებს, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, კომუნისტების მსჯელობის საგნად ვხდით პარტიული და სამეურნეო საქმიანობის ნაკლოვანებებს. მაგრამ მუშაობაში გვაქვს ნაკლოვანებანი. უბნებსა და საამქროებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობა. აგიტატორებს საჭირო დახმარებას ვერ ვუწევთ, დაბალია მათი მუშაობის იდეური დონე. დამოუკიდებლად სწავლებაშიც ყველაფერი რიგზე როდია. პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება არადამაკმაყოფილებლად ვეხმარება. ამ განყოფილების მუშაკები წარმოებაში უფრო მეტად მაშინ მოდიან, როცა რაიკომის ბიუროს ან პლენუმისათვის საკითხებს ამზადებენ.

თვითკრიტიკული იყო კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტბიუროს მდივნის ამხ. ბ. ღვინიაშვილის გამოსვლა. ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციას, — თქვა მან, — თავის მუშაობაში გამორჩა ერთერთი მთავარი საკითხი—ჩვენ მთელი სერიოზულობით ჯერ კიდევ ვერ შეგვიგნეთ, რომ კომკავშირისადმი დახმარება პარტიული ორგანიზაციის უპირველესი მოვალეობაა. იმის გამო, რომ საჭირო დახმარებას არ ვუწევთ კომკავშირულ ორგანიზაციას, ინსტიტუტის კომკავშირელთა დიდი ნაწილი აკადემიურად ჩამორჩა, ამასთან ცოტა როდია შემთხვევა, როცა კომკავშირელები არღვევენ დისციპლინას, კარგი ქცევის მაგალითს არ უჩვენებენ კომკავშირგარეშე ახალგაზრდობას. პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ კრიტიკას და თვითკრიტიკას ჩვენს ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არ სცემენ სათანადო პატივს.

მაუდ-კამეოლის ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ნ. თუშიშვილმა კონფერენციის დელეგატებს გააცნო ფაბრიკის მოწინავე საამქროებისა და ცალკე ნოვატორთა მუშაობის გამოცდილება, ილაპარაკა იმაზე, თუ რა გზით აღწევენ მასალების ეკონომიასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, შეეხო კომუნისტების ავანგარდულ როლს და პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორულ საქმიანობას.

ქალთა მე-15 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ამხ. ა. კაჭახიძემ აღნიშნა, რომ რაიონის განათლების განყოფილება სათანადოდ არ ეხმარება სკოლებს, ხელს არ უწყობს მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებაში, კადრებს ნაცნობ-მეგობრობის ნიშნით არჩევს. მიმდინარე სასწავლო წლის დასასრულს, — განაცხადა ამხ. კაჭახიძემ,—მასწავლებელთა რაიონულ თათბირზე მოუქნელი მუშაობისათვის მკაცრად იქნა გაკრიტიკებული განათლების განყოფილებისა და კიროვის მისი გამგის — მეტრეველის მუშაობა. ამხ. მეტრეველმა არ მიიღო სამართლიანი კრიტიკა და საქმიანი შენიშვნებით გამოსულ მასწავლებელთა წინააღმდეგ გაილაშქრა. ამხ. კაჭახიძემ გააკრიტიკა პარტიის რაიკომის მუშაკები იმისათვის, რომ ისინი იშვიათად დადიან სკოლებში, არ იცნობენ სკოლების მუშაობას, ცუდად ეხმარებიან მცირერიცხოვან პარტიულ ორგანიზაციებს.

არათვითკრიტიკული იყო რაიონის პროკურორის ამხ. ვ. ლეონიძის გამოსვლა. მან კონკრეტულად არაფერი თქვა იმის შესახებ, თუ რა ნაკლი აქვს რაიონის პროკურატურას სოციალისტური საკუთრების გამნიავებელთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ის ძირითადად სასამართლო ორგანოების კრიტიკით დაკმაყოფილდა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხანაგებმა პ. კობახიძემ (მარჯანიშვილის სახელობის თეატრის პარტბიუროს მდივანი), ვ. კოლუაშვილმა (მეორე უბნის სახალხო მოსამართლე), ს. კვაჭაძემ (კომკავშირის რაიკომის მდივანი), ო. ზენაიშვილმა (ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი), პროფესორმა ი. შველიძემ, ე. ალანიამ (პარტიის რაიკომის მდივანი) და სხვ. სულ 17 ამხანაგმა.

კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო, დასახა სათანადო ღონისძიებანი და აირჩია რაიონული კომიტეტისა და საარჩევნო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

კონფერენციის დელეგატებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი.

მისალმება გაეგზავნა დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ ლ. პ. ბერიას.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ზ. კეცხოველი, ვ. ბუჯიაშვილი, ვ. მელქაძე, კ. ბუჯიაშვილი, გ. ზედგინიძე.

* * *

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი, პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. პეტრიაშვილი, მეორე მდივნად—ამხ. ვ. ჯავახიშვილი, მდივნად—ამხ. ე. ალანია.

ბოლშევიკური სიფხიზის სამეფო

ეროვნული

15 წლის წინათ, 1937 წლის 22 აგვისტოს, ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით გაიხსნა ავლაბრის რესტავრირებული სტამბა.

ავლაბრის ფარული სტამბა იყო „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის შესანიშნავი გაბედული წამოწყება და ბოლშევიკური არალეგალური ტექნიკის თვალსაჩინო ნიმუში“ (იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. მოკლე ბიოგრაფია, გვ. 24-25).

ცნობილია, რომ პირველმა მწვავე უთანხმოებამ „მესამე დასში“ სწორედ არალეგალური პრესის საკითხის გამო იჩინა თავი. „მესამე დასის“ უმცირესობა — „რევოლუციურ მარქსისტული ჯგუფი“ — ი. ბ. სტალინი, ვ. ზ. კეცხოველი და ა. გ. ფულუკიძე, — უწევდა რა ანგარიშს მზარდ რევოლუციურ მოძრაობას, აუცილებლად თვლიდა არალეგალური ბეჭდვითი სიტყვის შექმნას. იმთავითვე ნათელი იყო, რომ არალეგალური მარქსისტული ლიტერატურის გამოცემა უნდა მოწყობილიყო არალეგალური ბეჭდვითი ტექნიკის შექმნის საფუძველზე.

პირველი არალეგალური სტამბა თბილისში მოეწყო 1900 წლის ზაფხულში. იგი მოთავსებული იყო მუშა ს. აზმაიფარაშვილის ბინაზე, შემდეგ დავითის მთის ძირას და ბოლოს ნაძალადევში. ამ სტამბაში დაბეჭდილმა სტალინურმა ფურცლებმა დიდი როლი შეასრულეს თბილისის მუშათა 1900 წლის აგვისტოსა და 1901 წლის 22 აპრილის გრანდიოზული დემონსტრაციების დროს. 1902 წლის თებერვალში ეს სტამბა აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ იქნა პოლიციის მიერ.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სასტამბო ტექნიკის განვითარების საქმეში სერიოზული ნაბიჯი იყო არალეგალური სტამბის მოწყობა ბაქოში და ბათუმში. ბაქოში არალეგალური სტამბა ამხანაგ სტალინის დავალებით მოაწყო ლადო კეცხოველმა, ხოლო ბათუმში — უშუალოდ ამხანაგმა სტალინმა. ბაქოში იბეჭდებოდა ქართული „ბრძოლა“, სომხური „პროლეტარიატი“, წარმოებდა „ისკრის“ ცალკეული ნომრების გადაბეჭდვა-გამრავლება, იბეჭდებოდა ლენინის ცალკეული შრომები („რა ვაკეთოთ?“ და სხვ.), პროკლამაციები და ფურცლები. ბათუმის სტამბა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბეჭდავდა ფურცლებსა და პროკლამაციებს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ბათუმის მუშათა 1902 წლის მარტის ისტორიული დემონსტრაციის მომზადების საქმეში.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის დიდი აღმავლობა საჭიროებდა მძლავრი სასტამბო ბაზის შექმნას ამიერკავკასიის ცენტრში — თბილისში. განსაკუთრებით მწვავედ დაისვა ეს საკითხი ლადო კეცხოველის დაპატიმრებისა და ბაქოში საგამომცემლო საქმის შეწყვეტის შემდეგ.

1903 წლის მარტში კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველ ყრილობაზე, რომელმაც შექმნა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი (ამხანაგი სტალინი ამ დროს ბათუმის საპატიმროში იყო და ის დაუსწრებლად აირჩიეს კომიტეტის შემადგენლობაში), მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქართული გაზეთის „ბრძოლისა“ და სომხური „პროლეტარიატის“ გაერთიანებისა და რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანოს — „პროლეტარიატის ბრძოლის“ გამოცემის შესახებ. კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საგამომცემლო საქმის მოგვარებას. მაისში რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიც ეკითხულობთ: „მოძრაობა მთელ მასას მოედო, მთელს, ყოველ შემთხვევაში, თითქმის მთელ მასას ბრძოლა სწყურია... საგიტაციო ლიტერატურამ პირველი ადგილი დაიჭირა: ის, რაც შეუძლებელი ხდება წრეებში, შესაძლებელია ს.-დემოკრატიული ფურცლებით, გაზეთებით, წიგნებით. საჭირო შეიქმნა თავისუფალი სტამბის მოპოვება...“.

ასე დაიბადა ავლაბრის არალეგალური სტამბის შექმნის იდეა.

ავლაბრის არალეგალური სტამბა, ისევე როგორც ყველა მარქსისტული გაზეთი და გამომცემლობა, შეიქმნა მუშათა მიერ შეგროვებული სახსრებით.

სტამბის მოწყობა გადაწყდა იმ მიწის ნაკვეთზე, რომელიც ხაზინიდან იჯარით ჰქონდა აღებული ყოფილ რკინიგზელ მუშას დ. როსტომაშვილს. წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე როსტომაშვილმა ქალაქის გამგეობაში წარადგინა ერთსართულიანი სახლის პროექტი და ითხოვა მისი აგების ნებართვა. საიდუმლო პროექტით კი განზრახული იყო ამ სახლის ქვეშ ღრმა სარდაფის ამოთხრა, სადაც უნდა მოთავსებულიყო სტამბა. დიდი ენერგიის დახარჯვის შედეგად პროექტი განხორციელებულ იქნა.

1903 წლის ნოემბერში სტამბა მზად იყო. იგი შეუდგა მუშაობას.

1904 წლის 5 იანვარს ამხანაგი სტალინი გამოიქცა გადასახლებიდან და თებერვალში თბილისში ჩამოვიდა. იგი სათავეში ჩაუდგა რსდმპ კავკასიის კავშირის მთელ საქმიანობას. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გაფართოვდა და გაძლიერდა ავლაბრის არალეგალური სტამბა. 1904 წელს ზაფხულში ბაქოდან ჩამოტანილ იქნა და ავლაბრის სტამბაში დაიდგა ლადო კეცხოველის მიერ შეძენილი აუგსბურგის სისტემის სწრაფმბეჭდავი მანქანა, რომელიც მალე მთელი დატვირთვით ამუშავდა.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ნაშრომები „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა“, „სოფლის ღარიბებს“, ი. ბ. სტალინის ბროშურები „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, „ორი შეჯახება“ და სხვები, პარტიის პროგრამა და წესდება, ათობით ფურცელი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაწერილია ამხანაგ სტალინის მიერ. ამ სტამბაში იბეჭდებოდა გაზეთები „პროლეტარიატის ბრძოლა“ და „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“, ბროშურები, პროკლამაციები — ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე რამდენიმე ათასი ეგზემპლარი ტირაჟით.

შესანიშნავად იყო დაყენებული დაბეჭდილი ლიტერატურის გავრცელების საქმე. თბილისში ლიტერატურის გასავრცელებლად სპეციალური პუნქტები იყო მოწყობილი, საიდანაც საიმედო პირებს ის მიჰქონდათ ფაბრიკა-ქარხნებში, ჯარში, სასწავლებლებში, საზოგადოების შესაყრებ ადგილებში. სანდო მუშების საშუალებით ლიტერატურით სავსე ყუთები (გარეგნულად როგორც ხილის ყუთები) იგზავნებოდა ბაქოში, ერევანში, ქუთაისში, ჭიათურაში, ბათუმში, სუხუმში, გურიაში და სხვა ადგილებში. ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი ლიტერატურა იგზავნებოდა ამერიკავკასიის საზღვრებს იქითაც, — რუსეთში, შუა აზიაში.

ვ. ი. ლენინი აღფრთოვანებული იყო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის საგამომცემლო საქმიანობით. „ჩვენ, — წერდა პარტიის ცენტრალური ორგანო „პროლეტარი“ რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანოს „პროლეტარიატის ბრძოლის“ შესახებ, — კიდევ მოგვიგზავნდა დავუბრუნდეთ ამ საინტერესო გაზეთის შინაარსს. მხურვალედ მივესალმებით კავკასიის კავშირის საგამომცემლო საქმიანობას და ვუსურვებთ მას შემდგომ წარმატებას კავკასიაში პარტიულობის აღდგენის საქმეში,“ („პროლეტარი“ № 12, 1905 წ.).

* * *

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა მაქსიმალურად გამოიყენეს 1905 წლის ბოლოს შექმნილი ლეგალური შესაძლებლობანი. „პროლეტარიატის ბრძოლამ“ და ავლაბრის არალეგალურმა სტამბამ შეწყვიტეს მუშაობა დეკემბრის მეორე ნახევრიდან გამოსვლა იწყო ლეგალურმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა“, რომელიც ლეგალურ სტამბაში იბეჭდებოდა. ავლაბრის არალეგალური სტამბის მომუშავეთა ნაწილი ამ სტამბაში იქნა გადაყვანილი. მაგრამ, იყენებდნენ რა ლეგალურ შესაძლებლობებს, ბოლშევიკები მას შესაფერისად უხამებდნენ ბრძოლის არალეგალურ ფორმებსაც. 1906 წლის იანვარში ავლაბრის სტამბა კვლავ მუშაობს და იმავე წლის თებერვალსა და მარტში (იანვრის ცნობები არ არის) ბეჭდავს ლიტერატურას, რომლის საერთო ტირაჟი 65.200 ეგზემპლარს აღწევს.

მეფის მთავრობა ... ეძებდა ... არალეგალური ... ბრძოლით ... ფიზიკური ... ბრძოლა ... ბრძოლა ... ბრძოლა

ერთიანი ბიბლიოთეკა

უხვი მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა

★ ★

ნოვატორი კომბაინერის მაგალითისამებრ

...პურეულის მოსავლის აღებაზე გასვ...ს წინ ჩვენი მტს-ის მექანიზატორები ...დი ინტერესით გაეცნენ რესპუბლი...ურ გაზეთებში გამოქვეყნებულ მასა...ებს რუსელი ნოვატორის კომბაინერ ...ს ტიტვინიძის გამოცდილების შე...ებ. მტს-ის მექანიზატორებმა მტკი...დ გადაწყვიტეს ემუშავნათ ნოვატორ ...ტვინიძის მაგალითისამებრ. გაეზარ...თ შრომის ნაყოფიერება, მოკლე ...ოში აეღოთ მოსავალი და არ დაეშ...ნ პურეულის დანაკარგი.

...კომბაინერებმა ველად გასვლის წინ ...თხელ კიდევ დაკვირვებით შეამოწ...ს თავიანთი მზადყოფნა მოსავლის ...ების საქმეში, აგრეგატის წევრებმა ...ლდასმით შეისწავლეს ი. ტიტვინიძის ...შაობის მეთოდები, გაბედულად ...ისრეს ახალი ვალდებულებანი.

...მოწინავე კომბაინერმა ფ. მიროშნი...ვმა, რომელიც „სტალინეც-6“ კომ...ინს მართავს, ერთ-ერთმა პირველმა ...თვისა ნოვატორ ი. ტიტვინიძის გა...ცდილება. მან ადრევე გაიგო, რომ ...რეულის აღება მოუწევდა სტალინი...ს რაიონის კოსტა ხეთაგუროვის სა...ლობის კოლმეურნეობაში, სადაც ...აერთხელ უმუშავნია. როცა ტიტ...ნიძის გამოცდილებას გაეცნო, ფ. მი...შნიკოვმა გადაწყვიტა ხელახლა შე...ეკლო ნაკვეთები, სადაც მოსავლის ...ება მოუწევდა და უზრუნველეყო ...მბაინის მუშაობა ღამითაც. ამიტომ ...�იროდ მიიჩნია მანქანის მოძრაობა-...ს შრუტი ახლებურად დაეგეგმა.

...და აი მიროშნიკოვის აგრეგატი და...რა ხეთაგუროველთა ყანებში. განსა...თრებული პასუხისმგებლობით შრო...ობდნენ მექანიზატორები. პირველ ...ეს მან 18 ჰექტარზე აიღო პურე...ი. ამ მაჩვენებლებმა სრულებით არ ...ამაყოფილა აგრეგატის წევრები.

— ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ბუნ...რის დაცლა კომბაინის შეუჩერებ...ად, ამინდი კარგია და სავსებით შესაძ...ებელია ღამითაც ვამუშაოთ კომბაინი, ...ე იქცევა იოსებ ტიტვინიძე!—განუ...ადა მიროშნიკოვმა მეშტურვალე ...ჯაბიძეს და ტრაქტორისტ ა. ჯიო...ს.

...მთელი სამუშაო დღის მაქსიმალუ...ად გამოყენებამ უფრო მაღალნაყოფი...ერი გახადა აგრეგატის შრომა. მალე კომბაინერმა გადაამეტა წინანდელ მაჩვენებლებს და პურეული 25 ჰექტარზე აიღო. ფ. მიროშნიკოვის აგრეგატზე ფრიალებს გარდამავალი წითელი დროშა. კომბაინერთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ფართოვდება, პირველობისათვის ბრძოლა ცხარე ხასიათს იღებს. მოწინავე კომბაინერის შრომითი მამაცობის ამბავმა სწრაფად მოიარა ჩვენი მტს-ის ყველა აგრეგატი. ამით შესაძლებლობა მოგვეცა უფრო კონკრეტულად გვეჩვენებია ჩვენს პირობებში კომბაინის შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდება.

ფ. მიროშნიკოვს გამოუჩნდნენ მიმდევრები. კომბაინერმა ლ. ბერუაშვილმა ადრინდელზე უფრო უნარიანად, უფრო მოხერხებულად მოაწყო აგრეგატის შრომა. პირველ დღეებში კომბაინით „სტალინეც-6“ ის 14-16 ჰექტარზე იღებდა მოსავალს, შემდეგ კი 18 ჰექტარზე აიღო.

სოფელ ტბეთის კოლმეურნეობაში თვითმავალი კომბაინით მუშაობს მოწინავე მექანიზატორი დ. ნაკაზნოი, რომელიც მოსავლის აღების დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, თითქოს ჩვენი მტს-ის ყველა აგრეგატი მაქსიმალური შესაძლებლობით მუშაობს მოსავლის აღებაზე. იმ მოწინავე კომბაინერთა შრომამ, რომლებმაც იოსებ ტიტვინიძის მაგალითს მიბაძეს, დაგვანახვა, რომ შეგვიძლია მუშაობა ბევრად უკეთესად მოვაწყოთ, მკვეთრად გავადიდოთ თვითეული კომბაინის ნაყოფიერება, სრულად გამოვიყენოთ მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

ჩვენი მტს-ის კოლექტივს ნაკისრი აქვს ვალდებულება პურეული აიღოს ერთნახევარჯერ უფრო მეტ ფართობზე, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებს.

სტალინირელი მექანიზატორები მთელი შესაძლებლობით იბრძოლებენ შრომის ნოვატორული მეთოდების უნარიანად გამოყენებისათვის, უზრუნველყოფენ პურის მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აღებას.

მ. მოიისწრაფიშვილი,
სტალინირის მტს-ის დირექტორი.

მოწინავე მეთამბაქოენი

...ლაგოდეხი. (საკ. კორ.). კარგად მოვლილი ...ჰექტარი თამბაქოს პლანტაცია აქვს სოფელ ...ფუნიანის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ...კოკლამაზაშვილი). აქ უხვად იღებენ საუკეთესო ხარისხის მოსავალს.

...მოწინავენი არიან ის ბრიგადები, რომელთაც ...გირლინი და მ. შალვაშვილი ხელმძღვანეობენ. წელს თვითეულ ჰექტარზე გეგმათ სა...ლმწიფოს 20 ცენტნერი თამბაქო უნდა ჩაბარონ, მაგრამ გადაწყვიტეს ყოველი ჰექტარის ...ასავლიანობა სულ მცირე 30 ცენტნერამდე ...ყანონ. ამ ამოცანის გასანაღდებლად მაღალნაყოფიერად მუშაობენ კოლმეურნეები ლ. ფედორენკო, ი. ქმუტაშვილი, ს. კოროშვილი და ა. ფოლადაშვილი.

თამბაქოს უხვ მოსავალს იღებენ აგრეთვე სოფელ ლელიანის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში. ა. ჯუმბერიძის და ბ. გაბრიელიძის ბრიგადებმა თამბაქოს შეტეხვის ო�დ...ლისის დავალება - გადაჭარბებით შეასრულეს. დავალება წარმატებით სრულდება აგვისტოშიც. მეთამბაქოე ქალები მ. კაპანაძე, თ. ფოზიანცი, ო. გაგოევი და ა. ბუზალაძე დღიურ დავალებას 120-150 პროცენტით ასრულებენ.

★ ★

კალოზე

გიორგი კაჭახიძე

მთასავით აზვინულ ხორბლის ძნებს შეება,
ამღერებს დოვლათი მზიური მინდვრის,
პურს ლეწავს, ქართულ პურს მანქანა ვეება,
ხარკოვში შობილი, აწყურის მკვიდრი.

დიდი და პატარა ელვარე ფიწლებით
მის ირგვლივ ტრიალებთ, შრომა გაქვთ ძმური.
ზაფხულის თაკარა მზის სხივით იწვებით,
მაგრამ ბუღს გავიწყებთ ბარაქა პურის.

მორჩილი მანქანა, ძნების მთის მომრევი,
გახარებთ ნაშრომით, გაყვარებთ თავსაც.
ფოლადის დიდ მკერდზე აუკრავს ტომრები
ნიავზე დაბერტყილ წინსაფრის მსგავსად.

და ავსებს მათ უბეს მარცვლებით, მარცვლებით
ას ცხენზე ძლიერი, გრიგალზე ჩქარი;
წვიმა სძულს გოლიათს ვაჟკაცის გამცდენი,
მზე უყვარს, ნიავი და მუდამ დარი.

ძნებს ძნებზე იტაცებს, ყლაპავს და ვერ ძღება,
ასი ძნა ერთბაშად გალეწოს ლამის.
სულ ფხიზლობთ, სულ დღე გაქვთ, სულ გმირის შეძლება,
სიფხიზლეს ვერ გაკლებთ სტუმრობა ღამის.

მზის ჩასვლას ბინდს აცლის ელექტროხანძარი
და ღამე ვერ მღერის ძილისთვის ნანას.
ტანდიდი ტომრები, მოსავლით მაძღარი,
ერთურთის მხარდამხარ წელმაგრად დგანან.

ბარაქით გეზრდებათ ცხოვრება ახალი,
კევრს გაჰყვა შიმშილის აჩრდილი მკრთალი.
ვერ გაკრთობთ ხმა მგლური — ხმა ომის ნაღარის,
დოლარზე ყღარუნი თურქული მთვარის...

კალოს რომ დღედაღამ მზესავით დაჰხარის,
სამშობლოს თვალია, მშვიდობის თვალი.

არ დავკარგოთ არცერთი მარცვალი

მარცვლეულის კარგი მოსავალი მოიყვანეს ასპინძის რაიონის კოლმეურნეობებმა. პურეულს სწრაფად იღებენ სოფელ ხიზაბავრის ბერიის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარეა ამხ. თამარ თედორაძე. აქ 4 სამუშაო დღეში 250 ჰექტარი პური მომკეს.

ასე როდი მუშაობენ სოფელ საროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. საკოლმეურნეო პარტორგანიზაციას (მდივანი მ. ბერიძე) არც კი გაუხუნავს მოსავლის აღების ბოლშევიკურად ჩატარების საკითხი. პარტორგანიზაციის მდივანი არ იცნობს კოლმეურნეობის სამუშაო გეგმას, არ იცის, რამდენ ჰექტარზეა პური ასაღები, ყურადღებას არ აქცევს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაჩაღებას. სუსტად მუშაობს აგიტატორი შ. ლონდარიძე, მან არ იცის ბრიგადის საწარმოო დავალებები.

ხშირად ცდება ასპინძის მტს-ის კომბაინი „სტალინეც-6“. ექვს სამუშაო დღეში კომბაინმა, რომელსაც ა. აბრამიძე მართავს, სრული დატვირთვით მხოლოდ ორ-ორი საათი იმუშავა. № 3 ბრიგადაში (ბრიგადირი ვ. ასპანიძე) ყურადღება არ ექცევა დანაკარგებთან ბრძოლას. აქ თავთავების ამკრეფები არ გამოუყვიათ. პურის მკას კომბაინი ვერ აუდის, ხელით და მარტივი მანქანით მოსავლის აღება კი მოუწესრიგებელია.

სოფელ რუსთავის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში პურეული 197 ჰექტარზე უთესიათ. გაჩაღებულია ხელით მკა. მუშაობს კომბაინიც. მაგრამ მას ნამჯის შესაგროვებელი მოხსნილი აქვს და მინდორში გდია. მინდვრებში განსაკუთრებით დიდია თავთავების დანაკარგი. მუშახელის უყოლობის მომიზეზებით კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ჭიკაიძე აგვიანებს თავთავების აკრეფას. კოლმეურნეობის ავტომანქანა გაფუჭებულია, ურმებს არ იყენებენ. ამიტომ ფერხდება პურის კალოზე მიზიდვა.

თუ ეს ნაკლოვანებანი დროზე არ გამოსწორდა, ასპინძის რაიონის კოლმეურნეობები დიდძალ პურს დაკარგავენ.

ე. ხარებავა,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

★ ★

მახარაძელებმა პირობა უნდა გაანაღდონ

მახარაძელები მიმდინარე წელს ჩაის უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის ინიციატორები არიან.

როგორ ანაღდებენ ისინი ნაკისრ ვალდებულებებს? გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ არადამაკმაყოფილებლად. უკვე გავიდა კრეფის საუკეთესო თვეები — მაისი, ივნისი და ივლისი. ამ პერიოდში რაიონმა სახელმწიფოს 2.182.800 კილოგრამი ნედლეული დააკლო.

აგვისტოში წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით 6.898.000 კილოგრამი ნედლეული უნდა მოკრიფონ. ამრიგად, აგვისტო გადამწყვეტია წლიური გეგმის შესრულებაში. მიუხედავად ამისა, ეს სამუშაო ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკს დღემდე არ გამოუტანია საჭირო დასკვნები შექმნილი მდგომარეობიდან. შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენენ სოფელ დვაბზუს კოლმეურნეობაში. მან მაისში, ივნისსა და ივლისში 62.570 კილოგრამით ნაკლები ფოთოლი ჩააბარა მრეწველობას, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. მოსალოდნელი იყო, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები აგვისტოში მაინც გააკეთებდნენ საჭირო დასკვნებს, მაქსიმალურად გამოიყენებდნენ ყველა შესაძლებლობას და უზრუნველყოფდნენ გეგმის შესრულებას. მაგრამ, როგორც ჩანს, დვაბზუელებს შეგნებული არა აქვთ მდგომარეობის სერიოზულობა. აგვისტოში 174.000 კილოგრამი ჩაი უნდა მოკრიფონ. 16 აგვისტოსათვის 36.690 კილოგრამი ჭრონდათ მოკრეფილი. ეს ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ მოუწესრიგებელია შრომა, სათანადო ყურადღება არ ექცევა პლანტაციების მოვლა-პატრონობას, არ წარმოებს შემოსული ფოთლის განუწყვეტელი კრეფა, რის გამო დანაკარგი დიდია. კოლმეურნე ნინო დოლიძის პლანტაციაში ჩვენ ვნახეთ გაუხეშებული ფოთოლი, ხოლო ბუჩქები —სარეველა ბალახით დაფარული. ასეთსავე მდგომარეობაშია მეოთხე ბრიგადაში შ. სიხარულიძისათვის მოსავლელად მიჩენილი ნაკვეთი.

იმის გამო, რომ ყრუ დუყები დროზე არ მოკრიფეს, ფოთლის დანაკარგი საშუალოდ ჰექტარზე კოლმეურნეობაში 500-600 კილოგრამს უდრის. ამრიგად, დვაბზუს კოლმეურნეობამ 172 ჰექტარ პლანტაციაში ასი ათასზე მეტი კილოგრამი ფოთოლი დაკარგა.

აღსანიშნავია, რომ დვაბზუს კოლმეურნეობა გამონაკლისი როდია. ჩამორჩენენ მთისპირის, ასკანის, გურიანთის, ბოხვაურის, მშვიდობაურის, მერიის, ნაგომრის და სხვა კოლმეურნეობები. განსაკუთრებით შეუწყნარებელია, რომ რაიონს ამ საქმეში უკან ეწევიან სოფელ ნატანების, შრომის, ძიმითის კოლმეურნეობები, ლაითურისა და ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობები, რომელთა ხვედრითი წილი რაიონული გეგმის შესრულებაში მეტად დიდია. უნდა ითქვას, რომ დასახელებულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ივნისში ფოთოლი დიდი რაოდენობით ჰქონდათ, მაგრამ ვერ უზრუნველყვეს მისი მთლიანად აღება, დაუშვეს დანაკარგები. დაუშვებელია, რომ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ამჟამად ფოთლის დანაკარგები აქვს, მაგრამ ამის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა არ არის გაჩაღებული.

ჩაის კრეფაში ყველა შესაძლებლობის მთლიანად გამოყენების საუკეთესო მაგალითებს მოწინავე კოლმეურნეობები იძლევიან, რომლებიც წარმატებით ასრულებენ გეგმებს. უწინარეს ყოვლისა ეს ითქმის სოფელ მელექედურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაზე (თავმჯდომარე ამხ. კ. ბილიხოძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. ს. ღლონტი). აქ თავიდანვე კარგად მოაწყეს შრომა, სანმეშომდ დაამუშავეს პლანტაციები და შედეგიც სასურველი მიიღეს. კოლმეურნეობამ 3 თვეში 346.590 კილოგრამი ხარისხოვანი ნედლეული დაამზადა, გეგმა 103,4 პროცენტით შეასრულა. 3 თვის შედეგების მიხედვით კოლმეურნეობას ჰექტარზე საშუალოდ მოკრეფილი აქვს 3.266 კილოგრამი. დიდ წარმატებას აღწევს ბრიგადა (ხელმძღვანელი ნოე ხინთიბიძე), რომელსაც ჰექტარზე საშუალოდ უკვე 3.484 კილოგრამი მოსავალი აქვს მიღებული. რგოლმა მ. დოლიძის ხელმძღვანელობით 3 თვის გეგმა 124 პროცენტით შეასრულა და ჰექტარზე საშუალოდ 3.964 კილოგრამი ჩაი აიღო. ასევე წარმატებით მუშაობენ ბრიგადირები ვალერიან კილაძე და ილია ღლონტი, მერგოლურები დიმიდე ხინთიბიძე, გერონტი ჩხაიძე, პეტრე ღლონტი და სხვები. მაღალნაყოფიერი შრომით კოლმეურნეობაში თავი ისახელეს მეჩაიეებმა ნინო ღლონტმა, მერი შარაძემ, თამარ ღლონტმა, ლიდა მგელაძემ, ს. მახარაძემ, ზინა ღლონტმა, ნათელა ტოროტაძემ, მარიამ ხელაძემ და მრავალმა სხვამ.

მახარაძის რაიონის მშრომელებმა წელს სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს. მათ არ უნდა დაიშურონ ენერგია ვალდებულების გასანაღდებლად, მთლიანად გამოიყენონ მოწინავეთა გამოცდილება, შრომითი რესურსები ჩაის კრეფის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

ვ. ჯაფელი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ო. მალცევი

იუგოსლავიის ჭრაგედია

...ურნალმა „ზნამიამ“ შარშან (№ 10, 11 და 12) გამოაქვეყნა ...ორესტ მალცევის რომანი „იუგოსლავიის ტრაგედია“, რისთვისაც ...მწერალს მიენიჭა სტალინური პრემია.

რომანში მხატვრული დამაჯერებლობით ასახულია იუგოსლაველი ...ალხის ჯალათების ტიტო-რანკოვიჩისა და მათი დამქაშების საზიზ...ღარი გამცემლობა. იუგოსლავიის ტრაგედია — ეს არის ტიტოს ...ბროვის, ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა ჯალათების უღლის ...ქვეშ მგმინავი იუგოსლაველი ხალხის ტრაგედია.

იუგოსლაველი ხალხი არ დაიჩოქებს მტარვალების წინაშე. იგი ...ოპოვნის თავისთავში ძალას, რათა საკადრისი პასუხი გასცეს ...ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტ დამმონებლებსა და მათ აგენ...ტებს ტიტო-რანკოვიჩებს. ამ რწმენით აღავსებს მკითხველს ო. მალ...ცევის წიგნი „იუგოსლავიის ტრაგედია“.

ქვემოდ ვბეჭდავთ ერთ თავს მწერალ ო. მალცევის რომანიდან. ...ამ ნაწყვეტში დახატულია ტიტო, როგორც თვალთმაქცი, ვერაგი, ...ხალხის გამცემი და ჯალათი, ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალის...ტების აგენტი.

○○○

...ანტინგტონი აღგზნებული იყო. ოთახ...ი ბოლთასა სცემდა. ღიღინებდა მო...ვეს ჰიმნიდან „ვარსკვლავები და ზო...ები უკუნითი უკუნისამდე“. ბუხარს ...ოლის ნაფოტი შეუმატა. კართან შე...ერდა და ყური მიუგდო. მეზობელ ...ბლში, როგორც ბარში ხდება ხოლ...ა, ღრიანცელი, ყვირილი და სიმღერა ...ისმოდა.

—კაპიტანი პინჩი, მისი შეფი მაკლინი ...ა რანდოლფ ჩერჩილი ღვინოს შეექ...ვეიან, ჩვენ რომ ჩამოვიტანეთ,—მიხვ...ა მაკკარვერი.

— დაე შეექცნენ! — ჰანტინგტონმა ...ფრო მაგრად მიხურა კარი. — ახლა ...ა, შერრი, მოვილაპარაკოთ მთელი ამ ...უგოსლავური ინსამბლის მაესტროზე ...ამარშალ ტიტოზე.

— აქ აბა რას იტყვი! — ხელები გაა...ვსავა საგონებელში მყოფმა მაკკარ...ერმა. — სიაში იგი არ არის. ჩვენ კი ...ოტა რამ თუ ვიცით მის შესახებ. იქ...ბ მარტო ის ვიცოდეთ, რომ იგი ჩუმ...ად ლეიბორისტებს მეგობრობს, ...ომლებმაც უკვე დიდი ხანია ბუნთი ...აგდეს მის კარში, ხოლო ყველას გა...გონად სიყვარულსა და ერთგულებას ...ვიცება სსრ კავშირს.

— მაშ არა და! — ჩაიცინა ჰანტინგ...ონმა.—აბა ერთი ესინჯხა და პირუკუ ...ნა — ჩუმჩუმად საბჭოთა კავშირის ...ოთგული ყოფილიყო, ხოლო ყველას ...ესაგონად ინგლისის სიყვარული გა...ცხადებინა! ერთ დღესაც ვერ შეი...ერჩუნებდა ადგილს. მას ხალხისა ეში...ი და ეშმაკურად ახერხებს თავისი ...ქმედება შეუწყოს ხალხის ენებათ...ელვასა და სიმპათიებს. და თქვენ ...ცდებით, შერრი, როცა გგონიათ, მის შესახებ ცოტა რამ ვიცითო. მე ახლა თითქმის მთელი მისი ასავალ-დასავალი ვიცი. ტიტოს აქილესის ქუსლივით ვნებადი, საშინლად ვნებადი ადგილები აქვს.

— ეს საინტერესოა. — თვალები აუნთო მაკკარვერს. — მაინც რა იცით, პოლკოვნიკო?

ჰანტინგტონი მაგიდას მიუჯდა და თავისი უბის წიგნაკი გადაშალა.

— ყური დამიგდეთ, შერრი. ამ კოზირებს საიდუმლოდ განდობთ — და ამას განუზრახველად როდი ვშვრები. კარგად დაიხსომეთ. დავიწყოთ ტიტოს ბიოგრაფიით. მდიდარი ხორვატი გლეხის, ან, მარქსისტული ტერმინოლოგიით, კულაკის შვილი. ეფრეიტორი ავსტრიის არმიაში, ემსახურებოდა ფრანც-იოსებს. ომობდა კარპატის ფრონტზე, ესე იგი ტყვიას უშენდა რუსებსა და სერბიელებს. (ერთხელ ვისკის სასმელად ვისხედით ერთად და ყოველივე ეს თვითონ წამოსცდა). ძალიან მალე მონახა ტყვედ ჩავარდნის გზა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, იდეზერტირა, ალბათ გონიერებამ მიახვედრა, ტყვედ ჩავარდნა სიცოცხლის გადარჩენის საუკეთესო ხერხიაო. იმ წლების საფრთხეს რომ თავი აარიდა, სადღაც დასავლეთ ციმბირში თუ ყაზახეთში მოიკალათა. მექანიკოსად მუშაობდა ორთქლის წისქვილის მეპატრონესთან, თავისუფალ დროს კი თავის ფერმაში ქათმის მოშენებას ეწეოდა. ეს იყო ინტერვენციის პერიოდში, კოლჩაკის დროს, რომელსაც, როგორც იცით, მაშინ ინგლისელები ეალაქებოდნენ. ტიტომ სხვა რამესთან ერთად ისიც მიამბო, რომ იქ ჩვენი ბიჭები უნახავს, ალბათ, გრევსის საექსპედიციო კორპუსის ჯარისკაცები. ძალიან მომეწონენო. ეს საყურადღებოა. რუსეთის სამოქალაქო ომის შემდეგ იოსიპ ბროზი რატომღაც სამშობლოში არ დაბრუნებულა. ბოლშევიკებთან დარჩა. მათს პარტიაში შევიდა. მოსკოვში სწავლობდა. ჰო, კინაღამ დამავიწყდა მეთქვა: იქ მან ცოლი შეირთო და შვილი ეყოლა — ჟარკო. შემდგომი მისი საქმიანობა მთლიანი ბურუსია. ცხადია მხოლოდ ერთი რამ: მოსკოვში ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტროცკისტებთან, კერძოდ ბელა კუნთან. მისი დახმარებით ბროზი კომინტერნის აპარატში კანცელარისტის კარიერის გაკეთებას შეუდგა. შემდეგ, ბელა კუნის ხელშეწყობით, იქნებ კი მისი დავალებითაც, იუგოსლავიაში დაბრუნდა. იქ დაუახლოვდა ალექსანდრე რანკოვიჩს, და მალე, ოცდაჩვიდმეტ წელს, იუგოსლავიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გახდა. მაშინ მისი მეტსახელი „ვალტერი“ იყო. შემდეგ კვლავ ბურუსია. ბროზი ხან იუგოსლავიაშია, ხან ისევ ემიგრაციაში. ხან საპყრობილეშია, ხან თავისუფალი. თუმცაღა, საპყრობილიდან გახთავისუფლებას იგი მალე ახერხებდა. მუდამ ხელგაშლილად ცხოვრობდა და რესტორანების ხშირი სტუმარი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მის ფოტოსურათებს პოლიციის ეურნალებში ბეჭდავდნენ. ერთი ასეთი ეურნალი თავისი პორტრეტით თვითონ მაჩვენა.

—ამდენად გულახდილია თქვენთან?!

—ჯერ კიდევ არცთუ ძალიან... ერთი ხელთ გვეგდო იგი ამერიკაში, შევუშახპუნებდით სკოპოლამინისა და ქლოროფორმის მინარევის პრეპარატს, ჩვენს „ჭეშმარიტების შრატს“, — და მაშინ აღარ ექნებოდა უნარი, რომ ეცრუვნა. მაგრამ აქ... აქ განზე ვდგავარ. მხოლოდ დოსიეს შევუდგენ ყოველი შემთხვევისათვის. მაშ, ყური მომაპყარ, შერრი! პარტიას, ცხადია, რაღაც ეშვი მიჰქონდა ტიტოზე. კინაღამ ის ეშვიც კი ჰქონდა, რომ მან ღალატით გასცა იუგოსლავ მოხალისეთა ბატალიონი, ხომალდებით რომ გაემგზავრა ესპანეთში... არის კიდევ ვარაუდი: ტიტო პარიზში თავის ყაცებს აგროვებდა რესპუბლიკელთა ბანაკში შესაგზავნად, მათ დიდი სამსახური გაუწიეს ფრანკოს, შემდეგ კი ტიტომ იქვე, საფრანგეთში, თავისი ამ ერთგული იუგოსლავებისაგან შეადგინა იუგოსლავიის კომპარტიის ახალი ცენტრალური კომიტეტი. მერმე ერფიხანს ტიტო აღარსად მსახურობდა და საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიას „თარგმნიდა“ სერბიულ-ხორვატულ ენაზე. თარგმანი, უნდა ითქვას, ზუსტი როდია...

— თქვენ წაიკითხეთ?! კვლავ გაიკვირვა მაკკარვერმა.

— წავიკითხე, და თქვენც გირჩევთ. საჭიროა მარქსიზმი ვიცოდეთ, რომ მარქსისტებს ვებრძოლოთ... მაგრამ ნუ მაწყვეტინებთ, შერრი. ყურადღებით მისმინეთ. იოსიპ ბროზი ხალხში პოპულარული არ იყო, ცოტა ვინმე თუ იცნობდა, და ზედაპირზე მხოლოდ ორმოცდაერთი წლის ზაფხულში ამოტივტივდა. რა არის ეს, შემთხვევითობა? არა. მან გამოიყენა სიტუაცია, კონიუნქტურა. საქმე ის არის, ვიმეორებ, შერრი, რომ იგი ოსტატურად უკრავს კვერს ხალხის სულისკვეთებას, მის სიმპათიებს საბჭოთა კავშირისადმი. მან შეძლო დროზე წამოეყენებინა მასების მოსაწონი ლოზუნგები, და მასები, ბუნებრივია, მას გაჰყვნენ. ყოველივე იმით, რაც გითხარით, თქვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ტიტო ჩვენს საქმეში უაღრესად გამოსადეგია. დემაგოგი, პოზიორი, პირადი კეთილდღეობის დიდი მოყვარული, — მეტი რაღა გვინდა? რაღაც თვისებით იგი ჰგავს, მე ვიტყოდი, ტროცკის; მათ ბუნება ერთნაირია. ამრიგად...

პოლკოვნიკმა ჩიბუხი ამოიღო და გულიანად გაიბოლა.

—მესმის, მესმის,—თქვა მაკკარვერმა, რადგან პაუზა უმძიმდა.

—მოთმინება, შერრი. ახლა გიამბობთ ჩემი უშუალო დაკვირვების შედეგს. ბატონ ტიტოს ასკეტის გემოვნება და ჩვევები როდი აქვს. აქ ამ გემოვნებაჩვევების მთელი სია მაქვს. მას უყვარს ღრეობა, ღვინო და ქალები. მისი მდივანი ოლგა ნინჩიჩი...

— მშვენიერი ფუნთუშაა, — ჩაილაპარაკა მაკკარვერმა.

— ერთი რამდენიმეთაგანია, ცოლები რომ არ ჩავთვალოთ.

— ცოლებიცა ჰყავს?

— აბა რა გგონიათ! ერთი რუსეთში დარჩა, მეორე — ხორვატიაში, მესამე — სლოვენიაში.

— აი ბარაქალა! როგორ გამოარკვიეთ ეს?

— სტრატეგიული დაზვერვა! ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ოლგა ნინჩიჩით გატაცება. იგი ჯიშიანი ქალია, მეფის მინისტრის მომჩილა ნინჩიჩის ქალიშვილი. სწორედ იმისა, ვინც, ჩვენი რჩევით, მოაწყო ალექსანდრე კარაგეორგიევიჩის ქორწინება ახლანდელი მეფე პეტრეს დედასთან, ყოფილ რუმინელ პრინცესასთან.

— აჰა! ნავთი!

— სწორედ, სწორედ! ეს ნინჩიჩი საერთოდ მცირემნიშვნელოვანი დეტალი როდია.

— საუცხოო საქმეა!

— ნინჩიჩი ჩვენი კაცია. მისი ქალიშვილი კი მაკლინის აგენტი და რანკოვიჩის დაყენებული მცველია ტიტოსთან. მხოლოდ მისი საშუალებით შეიძლება მოხვდე მარშალთან. ამბობენ, როცა ტიტოს ხორვატი ცოლი სწვევია, ნინჩიჩი ღამით მათ შუაში ჩასწოლია... აკი იცავს მარშლის ზნეობას! — ჰანტინგტონმა ჩაიხითხითა. — წარმოგიდგინიათ ეს პიკანტური ეპიზოდი? იგი ხშირად არსო იოვანოვიჩსაც არ უშვებს ტიტოსთან. მართლა, ამ არსოზე არაფერი გვაქვს?

— არაფერი.

— სამწუხაროა, — მოიღუშა პოლკოვნიკი. — ძნელია მასთან საქმე იქონიო. იგი არ გვენდობა. ვშიშობ, რომ მასთან ვერ მოვრიგდებით... მაშ, განვაგრძოთ ტიტოზე. ხელისუფლება სწყურია, პატივმოყვარეა. მუდამ ცდილობს ყურადღება მიიპყროს. ბევრს ზრუნავს თავისი ტუალეტისა და გარეგნობისათვის. შეგიმჩნევიათ? ღერ-ღერად იგლეჯს წაზრდილ ბობრ წარბებს, რომ რაც შეიძლება გააწვრილოს. ისეთი წარმოდგენა აქვს, თითქოს მისი პროფილი მონეტებზე ამოსაკვეთად სავსებით შესაფერისია. უყვარს ფუფუნება, ოქრო, ძვირფასეული...

— რას იზამ, კარგი ცხოვრება ჰყვარებია, — შენიშნა მაკკარვერმა.

— ხარბია მეტისმეტად.

— მაშასადამე, როგორც სერბიელები ამბობენ, მარილიან ხელს გაჰყვება.[1])

— საკმარისია მოიხმო! მღვიმეში მას სპარსული ხალიჩები, რბილი სავარძლები, სხვადასხვა მორთულობა, კვამლისფერი ბროლის ბოკალები აქვს, — გატაცებით განაგრძობდა ჰანტინგტონი. — ამას წინათ მაჩვენა ზოგი თავისი ნადავლი: ბეჭდები, სამაჯურები, ბრილიანტები. ხეტავ ამ დროს ჩაგიხედათ მის თვალებში! უნდა გითხრათ, შერრი, რომ უფრო ხარბი გამოხედვა არასოდეს შემხვედრია. ესეც საყურადღებო დეტალია ჩვენთვის. მაგრამ განვაგრძოთ. ეფრეიტორი გატაცებულია ნიკოლო მაკიაველის მსჯელობით. ნინჩიჩმა შეაჩერა!

— მაშასადამე, ცრურწმენას მოკლებულია და ძალაუფლებისათვის ყველაფერს ჩაიდენს?

— უკვე დიდი ხანია ამ მიზნით ყველაფერს სჩადის. იანუსივით ორპირია. უხვი აქტიორული მონაცემებით დაჯილდოებული ადამიანია. როგორც ჩანს, სწორედ ეს მონაცემები აძლევს საშუალებას უაღრესად მოხერხებული მანევრები აკეთოს და პოლიტიკურ ცვლილებებსა და ბეღის ლახვარს გაუძლოს. ძალიან დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე. ჰა და ჰა, თავს ბალკანეთის ბონაპარტად სახავს. საერთოდ ცდილობს მიბაძოს მონარქებსა და დიდ ადამიანებს — ზოგ რამეში იულიოს კეისარს, ზოგშიც ნაპოლეონს... ეს უბადრუკი კაცი—პიგმეი მათს ჩვევებს, სიარულს, პოზებს ბაძავს. თან დაათრევს ჩემოდნით ნაპოლეონის პატარა ბიუსტს და მარჯვე შემთხვევაში თავის სამუშაო მაგიდაზე დგამს. ეს თვისება ისეთივე წახალისების ღირსია, როგორც პიადეს მარქსიზმით გატაცება. გუშინ, სხვათა შორის, ტიტოსთან საკიდზე ვნახე დაგლეჯილი ფარაჯა, კუთხეში კი ძველი, გათელილი ჩექმა. და წარმოიდგინეთ, შერრი, როდი შევცდი,

[1]) ხალხური გამოთქმაა. იგულისხმება მოსყიდვა: ცხვარი მწყემსს მიჰყვება, თუ მარილწყალში ამოვლებულ ხელს მიუშვერს და უხმობს.

(გაგრძელება მე-4 გვ.)

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 20 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 20 აგვისტოს გამოაქვეყნა ცნობა, რომ განვლილი დღის მანძილზე ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

ამერიკელ აგრესორთა მხეცობა სამხედრო ზეჯონის ბანაკში

ფხენიანი, 20 აგვისტო. (საკდესი). ამერიკელი ინტერვენტები საზარელ ბოროტმოქმედებას სჩადიან კორეის სახალხო არმიის ტყვედ წაყვანილი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მიმართ.

ჟურნალი „ახალი კორეა“ აქვეყნებს სახალხო არმიის მებრძოლის ხონ გი მანის ნაამბობს. ეს მებრძოლი გამოიქცა ქალაქ ტეჯონის სამხედრო ტყვეთა ბანაკიდან.

ხონ გი მანმა გვაცნობა ქვემოთ მოყვანილი ფაქტები.

ამერიკელ ჯალათებს ჩვენ, ხუთნი, ამბობს ხონ გი მანი, ტეჯონის ბანაკში მივყავდით. ფრონტის ხაზიდან თვით ტეჯონამდე ჩვენთვის საკმელი არ მოუციათ. ტეჯონთან შეეხვდით ტყვეთა სხვა ჯგუფს. ისინი საშინელი სანახავი იყვნენ. ქროდა სუსხიანი ქარი, ტყვეთა უმრავლესობა კი ქვედა საცვლის ამარა იყო. მათ სხეულს აჩნდა ცემის კვალი, ნაიარავები, ჭრილობები. მათ შორის თითქმის არავის არ შეეძლო ნორმალურად სიარული. ზოგი კოჭლობდა, ზოგი ძლივს მაათრევდა ფეხს, ზოგს ხელები უსაცოცხლოდ დაშვებოდა. ადამიანები ეეკმოდნენ, რაკი მოძრაობა არ შეეძლოთ. მაშინ ბადრაგები მათ თოფის კონდახს სცემდნენ, გამოფიტულ ადამიანებს აიძულებდნენ ამდგარიყვნენ და გზა განეგრძოთ. ვისაც ადგომა აღარ შეეძლო, იმათ იქვე კლავდნენ.

ბანაკი, სადაც ჩვენ მოგვრეკეს, ქალაქიდან სამ კილომეტრზე მდებარეობდა. დილით დასაკოხავად წამათრიეს, გუშაგმა თოფის კონდახი დამკრა ზურგში, წამაქცია და დამაჩოქა. ფეხის ჭრილობის გამო დაჩოქება ვერ შევძელი. მაშინ წამების ოთახში შემაგდეს. ამ ოთახში მე ვნახე 50 წლის მამაკაცი, როშელიც იმის წინ ეწამებინათ. იგი უგონოდ იწვა ცემენტის იატაკზე. ორი ამერიკელი წყალს ასხამდა. ბოლოს, მან ოდნავ კაპილა შეუშეპეტა უპეები. ჯალათებმა ერთმანეთს რაღაც უთხრეს, შემდეგ ის კაცი და მე მეზობელ ოთახში შეგვაგრიეს. იქ მათ თავიანთი მსხვერპლი თავდაღმა ჩამოკიდეს ჭერზე და ზურგში საშინლად სცეს ხიშტი. ჭრილობიდან სისხლმა ითქროლა და ოთახში იღვრებოდა. ალბათ ამ სურათის მნახველს სახე შემეცვალა, ეს რომ შემამჩნიეს ჯალათებმა ხელი მტაცეს, მიმათრიეს ჩამოკიდებულ კაცთან და საშინელი ცემით ცდილობდნენ ვაიძულებინეთ მესვა იმ კაცის ჭრილობიდან ნაღები სისხლი. როცა დარწმუნდნენ, რომ ამას ვერ მაიძულებდნენ, ძლიერ დამარტყეს თავში, და გონება დაკარგე.

ბანაკში ამერიკელი ჯალათების მრავალი საშინელი მხეცობის მოწმე ვიყავი. ბანაკში იყვნენ არა მარტო სამხედრო ტყვეები, არამედ „ლტოლვილებიც“, რომელთაც ყოველდღე ეს ჯალათები ათობით ხოცავდნენ. ერთხელ მთვარიან ღამეში ამერიკელებმა ბანაკიდან გაგვიყვანეს და თავიანთი ველური გართობა გვაჩვენეს. ველურებმა ბანაკის ეზოში გამოიყვანეს ხუთი ტიტველი ქალი, ერთად შეკრეს, შემდეგ შემოახვიეს ბენზინით დასველებული ჩალის მსხვილი თოკი და ცეცხლი წაუკიდეს ამ თოკს. საშინელი იყო ქალების წამება. ამერიკელი ჯალათები სიამით უცქეროდნენ ამ სურათს, იცინოდნენ და ტაშს უკრავდნენ. როცა საშინელი წამებით გონებადაკარგული ქალები დაეცნენ, ამერიკელებმა ბენზინი გადაასხეს, კვლავ წაუკიდეს ცეცხლი და ტანებოდნენ ცეცხლმოდებული ადამიანების საშინელი სანახაობით, სანამ მსხვერპლნი არ დანახშირდნენ.

ამ ბანაკში ჩემი ერთი კვირის მანძილზე ყოფნისას კაციჭამიებმა იქ მყოფ ადამიანთაგან თითქმის ნახევარი გაჟლიტეს.

ცხრა დღის შემდეგ 30 სხვა პატიმართან ერთად ბანაკიდან ფრონტზე წამიყვანეს. ჩვენ მივედით მოწინავე პოზიციების რაიონში.

როცა ხევში მივდიოდით, სრულიად მოულოდნელად გორაკებიდან ტყვიამფრქვევები და ავტომატები აკაკანდნენ. თორმე ესენი იყვნენ საბჭოთა არმიის მებრძოლები, რომლებიც ჩასაფრებულნი ელოდბოდნენ მტერს. ამერიკელთა ასეულმა, რომელსაც ჩვენ მივყავდით, სცადა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ სასტიკად დამარცხდა. რამდენიმე სხვა ამხანაგთან ერთად მე. საბჭოთა არმიის მებრძოლებმა გადამარჩინეს.

დღემდე, ამბობს ხონ გი მანი, თვალწინ მიდგას საშინელი წამებით სიკვდილის პირას მყოფი ადამიანები და მათი ტანჯვის მაცქერალი ამერიკელი სადისტები. ავაზაკები სასტიკად უნდა დაისაჯონ თავიანთი ბოროტმოქმედებისათვის.

ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა მოწინააღმდეგის ზარალის შესახებ

შანხაი, 20 აგვისტო. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის უკანასკნელი კომუნიკეს თანახმად, ვიეტნამში წინააღმდეგობის მოძრაობის დაწყებიდან (1946 წლის დეკემბრიდან) 1952 წლის ივნისამდე ვიეტნამის არმიამ და ხალხმა მოსპეს მტრის 219.346 ჯარისკაცი და ოფიცერი.

მოწინააღმდეგემ უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობიდან დაკარგა ინდოჩინეთში საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი მთავარსარდალი გენერალი არტმანი, რომელიც მოკლეს 1951 წლის მაისში კაო-ბანგში. სამხრეთ ვიეტნამში საფრანგეთის კავშირის ჯარების ყოფილი სარდალი გენერალი შანსონი, რომელიც მოკლეს 1951 წლის იელისში სამხრეთ ვიეტნამში, და რვა პოლკოვნიკი.

გარდა ამისა, ვიეტნამის ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს სამი პოლკოვნიკი: შარტონი, ლეპაკი და ტომას დიური.

წინააღმდეგობის საერთო ეროვნული მოძრაობის დაწყებიდან 1952 წლის იელისამდე ვიეტნამის სახალხო არმიამ ხელში ჩაიგდო 43.068 შაშხანა, 10.395 ტყვიამფრქვეი, 384 მორტირი, 195 ტანკსაწინააღმდეგო თოფი „ბაზუკი“, 118 ზარბაზანი. გარდა ამისა, ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებმა ხელი იგდეს 71 ავტომანქანა და 228 რადიოგადამცემი. ვიეტნამის სახალხო არმიამ მოსპო 4.143 ავტომანქანა, 165 თვითმფრინავი, 201 ორთქმლმავალი, რკინიგზის 564 ვაგონი, 139 სამდინარო გემი და 60 საარტილერიო ქვემეხი.

იუგოსლავიის ფრაგედია

(გაგრძელება)

როცა ამ საგნებს მის „მხედრულ საგმირო საქმეთა“ სახსოვარი სუვენირები ვუწოდე. ტიტო ამ საგნებს მართლა ინახავს მომავალი ეროვნული მუზეუმისათვის.

—ნუთუ სერიოზულად ამბობთ ამას?

— აბსოლუტური სიმართლეა!—უპასუხა ჰანტინგტონმა. — თქვენ ხედავთ, რომ ყოველივე იმიდან, რაც მის შესახებ გავიგეთ, გამომდინარეობს ჩვენი ამოცანა — ისე მოვეპყროთ მას, თითქოს მართლაც ბალკანეთის გმირი, რომაელი ტიტოსის[1]) მსგავსი გენიალური სარდალი და ბრძენი სახელმწიფო მოღვაწე იყოს. უნდა შთავაგონოთ მას და დავარწმუნოთ, რომ შეუძლია დამოუკიდებლად გაათავისუფლოს არა მარტო იუგოსლავია, არამედ მეზობელი ქვეყნებიც, შემდეგ კი შექმნას ბალკანეთ-დუნაის დიდი ფედერაცია შავი ზღვიდან ადრიატიკის ზღვამდე.

— გრანდიოზული იდეაა! — შესძახა მაკკარვერმა. — რა თქმა უნდა, ის ჩვენს შტატებში წარმოიშვა?

— არცთუ მთლად, — ჩაიცინა ჰანტინგტონმა. — ეს იდეა ძველია. მას გულმოდგინედ იკვლევდა ჯერ კიდევ მეტერნიხი, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ იგი გამოვიყენოთ.

— და იგი, ჩვენი ტიტო, ამ ფედერაციის მეთაური იქნება?

— დიახ. ამით ჩვენს პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას დავამკვიდრებთ გაერთიანებულ ბალკანეთის სახელმწიფოში. მისი პოლიტიკური ცენტრი, ცხადია, ბელგრადი იქნება.

პიადე, ამას თეორიულად რომ ასაგებთებს, ასეთ სახელმწიფოს ინტიმურ წრეში „ინტეგრალურ იუგოსლავიას“, ხოლო უფრო ფართო წრეში „სამხრეთის სლავთა თავისუფალ ფედერაციას“ უწოდებს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ დაინტერესებული ვართ ხელი შევუწყოთ სერბიის ამ ეგრეთწოდებული ბურჟუაზიული ნაციონალისტების ძველი გეგმების განხორციელებას, რა ახალი ტრანსკრიპციითაც უნდა იყოს. ჩვენ, უეჭველია, ტერიტორიები, დიდი სივრცენი დაგვჭირდება, როგორც პლაცდარმები მსოფლიო ამოცანების გადასაწყვეტად, და ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს სივრცეები ფიჭებივით არ იყოს დაყოფილი სხვადასხვა სადემარკაციო ხაზითა და საზღვრებით.

— წარმომიდგენია ლაიების სახის გამომეტყველება,—გაიცინა მაკკარვერმა, —როცა ტიტო ერთბაშად გამოიჩენს ჩვენი გრანდიოზული ამოცანების გაგებას.

— იგი უკვე ახლაც იჩენს ასეთი ეაგების მიდრეკილებას. მეფე პეტრეს ელჩი, კოსანოვიჩი, ტიტოს რწმუნებულია ამერიკაში. ტიტოს მისი საშუალებით საიდუმლო კავშირი აქვს დამყარებული სახელმწიფო დეპარტამენტთან. ვფიქრობ, ომის შემდეგაც, როცა იუგოსლავიაში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგება, ტიტო ამ მეფის ელჩს გახდის თავის წარმომადგენლად ვაშინგტონში. ჰო, მართლა, კოსანოვიჩი პოპოვიჩის ძველი მეგობარია.

— ოჰო! — გაუხარდა მაკკარვერს.— კიდევ ერთი პედალი, რომელსაც უნდა დავაწვეთ.

პოპოვიჩი და კოსანოვიჩი სიურრეალისტი პოეტები არიან. ერთად ქეიფობდნენ პარიზსა და ბელგრადის კაფეშანტანებში. იმედი მაქვს მომავალში ისინი ჩვენს ნიუ-იორკში უფრო სასიამოვნო ადგილებს იპოვიან შეხვედრებისა და გართობისათვის.

— განსაკუთრებით, „ბრილიანტის ნალში“ [1]), თუმცა პოპოვიჩს მთელ ქალთა მოდგმაზე განაწყენებულ წმინდანად მოაქვს თავი, რადგან ცოლმა არ მოისურვა დაბრუნებოდა მას ბელგრადიდან, ის კი, ამბობენ, პიკანტური დალმაციელი ქალიაო...

— მაგრამ დავუბრუნდეთ ტიტოს,— სიტყვა გააწყვეტინა ჰანტინგტონმა და თან ცბიერი ძრახვით შეხედა პოდპოლკოვნიკს. რაც გითხარით, იმის დამატებით სასარგებლო იქნება იცოდეთ, თუ რა აზრის არის ტიტოზე ბრიგადის გენერალი მაკლინი.

[1]) ამპერატორი, სარდლობდა რომის ჯარებს.

[1]) ყველაზე დიდი შანტანია ნიუ-იორკში.

(დასასრული იქნება)

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი საბჭოთა არმიის მიერ ბულგარეთის განთავისუფლების დღისათვის

სოფია, 20 აგვისტო. (საკდესი). დღეს დედაქალაქის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი 9 სექტემბრისათვის — ფაშისტური მონობისაგან გმირი საბჭოთა არმიის მიერ ბულგარეთის განთავისუფლების დღისათვის.

პირველ მოწოდებებში ნათქვამია: „გაუმარჯოს დიად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევ ბურჯს!

დაე სამარადისოდ ცოცხლობდეს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ცხოველმყოფელი მეგობრობა!

მგზნებარე სალამი ჩვენს განმათავისუფლებლებს — საბჭოთა ხალხებს!

საყოველთაო-სახალხო მადლობა სახელოვან საბჭოთა არმიას!“.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი ბულგარელ მშრომელებს მოუწოდებენ კიდევ უფრო გააჩაღონ ბრძოლა ბულგარეთში სოციალიზმის აშენებისათვის, მშვიდობისათვის, დიდ საბჭოთა კავშირთან ძმური, ურღვევი მეგობრობის განმტკიცებისათვის.

გაზეთი „ნოტისიას დე ოი“ კუბა-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტზე პოლიციის თავდასხმის შესახებ

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. (საკდესი). კუბის გაზეთმა „ნოტისიას დე ოი“ გამოაქვეყნა სტატია კუბა-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტზე პოლიციის თავდასხმის გამო. სტატიაში ნათქვამია: „კუბა-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტზე თავდასხმა მოწმობს არა მარტო იმას, რომ მთავრობა გონებაჩლუნგია, არამედ იმასაც, რომ მას სძულს კულტურა. კიდევ უფრო დიდი სისულელეა ეცადონ ხელი შეუშალონ ჩვენსა და საბჭოთა ხალხებს შორის ურთიერთობას. ასეთი მოქმედება კუბისა და ჩვენი მომავლის სასარგებლო არ არის; ეს ხდება ამერიკელი იმპერიალისტების კარნახით, რომლებიც ცდილობენ რკინის ზღუდით გამოთიშონ ჩვენი ხალხი, რათა მას მეგობრები არა ჰყავდეს და ვაშინგტონმა უფრო ადვილად ჩაახშოს ჩვენი დამოუკიდებელი ეროვნული განვითარება.

მთავრობას სურს, რომ ჩვენში კითხულობდნენ მხოლოდ ამერიკული ლიტერატურის რჩეულ ნაწარმოებებს — დეტექტიურ რომანებსა და ამერიკის იმპერიალისტური ბურჟუაზიის მწერალთა სხვა საზიზღარ პროდუქციას.

მთავრობას სურს, რომ ჩვენ შევითვისოთ ევრეთწოდებული „ამერიკული ცხოვრების წესი“, რომელიც ყოველივე კუბურს აზშობს, რომელიც ქადაგებს რასობრივ უთანასწორობას, იმას, რომ საჭიროა გავრცელდეს სილატაკე, ექსპლოატაცია, წარმოებდეს ომი და აცხადებს, კუბა კოლონია უნდა გახდესო.

მთავრობა ასე იმიტომ მოქმედებს, რომ იგი უცხოელთა აგენტია და ემსახურება უცხო სახელმწიფოს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ბატონობს. მაგრამ კუბელი ხალხი სხვანაირად ფიქრობს“.

ფაშისტური თავდასხმა კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის შენობაზე ბონში

ბერლინი, 20 აგვისტო. (საკდესი). როგორც ადნ-ის საინფერმაციო სააგენტოს ღამით ფაშისტური „გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის“ წევრი — ხულიგნები თავს დასხმენ კომუნისტური პარტიის რაიონული ორგანიზაციის შენობას ბონში. ფაშისტმა ხულიგნებმა დაარბიეს შენობა.

თავდასხმა, როგორც საგენტო აღნიშნავს, წინასწარ იყო მომზადებული. ამის ცოტა ხნის წინათ ბონში ჩავიდა სპეციალური ჯგუფი დამრბევებისა, რომლებიც თავდასხმის წინაღდეგ ნახეს კომუნისტური პარტიის რაიონული ორგანიზაციის შენობის ახლოს „გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის“ ბონის ორგანიზაციის წევრ — ხულიგნებთან ერთად.

მღელვარება თეირანში

თეირანი, 20 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „ბაჰტარე ამრუზის“ მიერ გამოქვეყნებული ცნობებით, 19 აგვისტოს თეირანის ცენტრალურ რაიონებში სხვადასხვა ქუჩაში დილადანვე გაიმართა დემონსტრაციები და შეტაკებანი მოსახლეობის დემოკრატიულად განწყობილი ფენების წარმომადგენლებსა და ეგრეთწოდებულ „პანირანისტებსა“ და ფაშისტური პარტიის სუმკას წევრებს შორის. ქალაქის ბევრ ქუჩაში მალაზიები დაიხურა. პოლიცია ფაქტიურად დემონსტრანტებს.

როგორც „ბაჰტარე ამრუზი“ იუწყება, ირანის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა გენერალმა შეიბანიმ 19 აგვისტოს გადადგომა ითხოვა. მაგრამ მისი გადადგომა არ მიიღო პრემიერ-მინისტრმა მოსადიკმა, რომელიც „დათანხმდა მისცეს შეიბანის ფართო რწმუნებანი, რასაც იგი მოითხოვდა“.

თეირანი, 20 აგვისტო. (საკდესი). მცირე ხნით შეწყვეტის შემდეგ, 19 აგვისტოს, საღამოს დემონსტრაცია და შეტაკებები თეირანის ცენტრალურ ნაწილში ახალი ძალით გაჩაღდა. როგორც გაზეთი „დადი“ აღნიშნავს, 19 აგვისტოს საღამოს 8 საათზე ქალაქის სხვადასხვა პუნქტებში პოლიციამ დემონსტრანტთა წინააღმდეგ გამოიყენა ცრემლსადენი გაზით გატენილი ყუმბარები და სროლა ატეხა ჰაერში.

საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე „პანირანისტები“ და ფაშისტური პარტიის სუმკას წევრები შეიჭრნენ თეირანის მშვიდობის სახლში. ნავთი გადასხეს მის შიდა სადგომებს და ცეცხლი წაუკიდეს შენობას. დაიწყო ხანძარი, ცეცხლი მოედო მეზობლად მდებარე სახლებს. გაზეთი „დადი“ აღნიშნავს, რომ მოსული მეხანძრეები ოცდაათი წუთის განმავლობაში ვერ შეუდგნენ ხანძრის ჩაქრობას, რადგან პარტია სუმკას წევრები ამას ყოველნაირად უშლიდნენ ხელს. ხანძარმა შუაღამემდე გასტანა. იწვოდა მშვიდობის სახლი და მეზობლად მდებარე ორი სახლი, რომელთა მცხოვრებლებს შორის არიან დაჭრილები.

ლონდონი, 20 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, რომ 20 აგვისტოს საღამოს ირანის მთავრობამ ერთი კვირის ვადით კვლავ შემოიღო სამხედრო წესები.

X საჭადრაკო ოლიმპიადაზე

ჰელსინკი, 20 აგვისტო. (საკდესი). დღეს ჰელსინკის უმაღლესი კომერციული სასწავლებლის შენობაში მოხდა წილისყრა, რომელმაც გამოარკვია ფინალური შეჯიბრების რიგი ჭადრაკის გუნდურ პირველობაში.

როგორც ცნობილია, პირველ ფინალურ ჯგუფში, სადაც პირველი ცხრა ადგილი გათამაშდება, შევიდნენ საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ფინეთის, შვეიცის, უნგრეთის, არგენტინის, ჩეხოსლოვაკიის, დასავლეთ გერმანიისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა გუნდები.

წილისყრის შედეგად რიგითი ადგილები ტურნირის ცხრილში ასე განაწილდა:

1. ფინეთი.
2. დასავლეთი გერმანია.
3. შვეიცია.
4. უნგრეთი.
5. ამერიკის შეერთებული შტატები.
6. არგენტინა.
7. საბჭოთა კავშირი.
8. ჩეხოსლოვაკია.
9. იუგოსლავია.

ამრიგად, ხვალ — ფინალური შეჯიბრების პირველ დღეს პირველ ფინალურ ჯგუფში ერთმანეთს ხვდებიან:

დასავლეთი გერმანია — იუგოსლავია.
შვეიცია — ჩეხოსლოვაკია.
უნგრეთი — საბჭოთა კავშირი.
ამერიკის შეერთებული შტატები — არგენტინა.

ფინეთის გუნდს თავისუფალი დღე აქვს. დღეს დილით მოხდა აგრეთვე ნახევარფინალის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება, რის შედეგადაც კიდევ თითო ქულა მიიღეს იუგოსლავიისა და ისრაელის გუნდებმა. იტალიის გუნდმა დამატებით მიიღო ერთნახევარი ქულა, ნორვეგიის გუნდმა — ნახევარი ქულა.

შრომის წითელი დროშის ორდენოსან, საქართველოს ს. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი 1952-53 სასწავლო წელს ჩარიცხულთა სიები

აგრონომიული ფაკულტეტი

ს. ტ. აბეანდაძე, ფ. გ. აბესაძე, ე. ბ. ავალიანი, უ. ა. არაქელოვი, მ. ა. ბოკუჩავა, ვ. ი. ბოკიკაშვილი, თ. ვ. ბერიაშვილი, ქ. ვ. ბუნტური, ჯ. ი. ბეჟაშვილი, ლ. კ. ბარჯაძე, ჯ. მ. გაბუნია, ნ. გ. გოგია, ე. მ. გულიაშვილი, ბ. დ. გაგუნაშვილი, მ. თ. გურგენიძე, ა. მ. გოგაძე, ო. თ. გვარამია, ე. ი. გოგოლი, დ. ა. დოლაძე, დ. ა. დაუშვილი, ბ. ა. ვაშაყმაძე, ლ. შ. ვაწაძე, თ. ი. თუმანიძე, ლ. ს. თეთრაშვილი, მ. დ. თალაკვაძე, გ. გ. თორაძე, კ. გ. თავაძე, რ. მ. თედორაძე, ნ. ე. იაკობაშვილი, ა. ს. კობერიძე, ც. ვ. კურტანიძე, ო. ა. კვინიკაძე, რ. რ. კერესელიძე, გ. ვ. კობოსნიძე, მ. ი. კიკნაძე, დ. პ. კოპალიანი, ლ. ლ. კარტოზია, ნ. კ. ლეჟავა, ნ. ს. ლეჟავა, რ. შ. ლორთქიფანიძე, ა. გ. ლომსაძე, ე. ნ. მარგალიტაძე, კ. ვ. მინდელი, ზ. გ. მესტიაშვილი, ი. ვ. მირიანაშვილი, ე. ი. მგელაძე, ს. ი. მარხვაიძე, ო. მ. მდივნიშვილი, ლ. ი. მუსერიძე, რ. ი. მელქაძე, ლ. ი. ნინიძე, შ. ა. პეტოევი, თ. გ. რცხილაძე, მ. ა. სომხიშვილი, რ. ბ. ტაბუცაძე, მ. ვ. ფეიქრიშვილი, ც. ვ. ფურცელაძე, ლ. ა. ფირცხალავა, კ. დ. ფეტრაძე, ვ. რ. ქაჯაია, ვ. ბ. ქვარცხავა, კ. ა. ღლონტი, ი. მ. ყიჩიაშვილი, ნ. ე. შერგილაშვილი, ე. შ. შენგელია, ჯ. დ. ჩხეიძე, რ. ს. ჩხენკელი, კ. ს. ცატუროვა, დ. ი. წერეთელი, რ. ვ. წულეიასკარი, ჯ. ა. წერეთელი, ჯ. პ. ხუნდაძე, ე. ა. ხატიაშვილი, გ. ი. ხატიაშვილი, ა. დ. ჯიბლაძე.

აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის განყოფილება

ლ. გ. ალადაშვილი, გ. გ. ადამია, გ. ნ. ბედიაშვილი, გ. გ. ბარკაია, ლ. ვ. ბოჭორაძე, ლ. ს. ბელაუსოვი, მ. ი. გოზალოვი, ნ. გ. გაგუა, ნ. ბ. გვახარია, ო. გ. დოლიძე, ე. ზ. თათარაშვილი, ლ. გ. კასრაძე, ს. ვ. მელიქოვი, მ. ე. მეტრეველი, ნ. ი. მერაბიშვილი, ზ. ა. ნიშნიანიძე, ნ. გ. ჟორდანია, ლ. ს. რუსეიშვილი, ც. დ. სანაძე, ქ. მ. საკაშვილი, ნ. ვ. ფანთია, ლ. პ. ჩეჩალაშვილი, ს. ა. წოქარაშვილი, მ. ვ. ჭრელაშვილი, ე. ნ. ხატისკაცი.

მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტი

ნ. ხ. ასათიანი, ფ. ტ. აბრამიშვილი, გ. ა. ახიშოვი, ლ. კ. ახვლედიანი, ს. კ. ბაკურაძე, ლ. გ. ბასილაშვილი, მ. ე. ბურჯანაძე, თ. ა. გენგაური, გ. ა. გურგენიძე, კ. მ. გვიშიანი, ნ. ა. გურასპიშვილი, ა. კ. გრიგოლავა, გ. ა. გაბრიანიძე, ნ. ვ. დურმიშიძე, ნ. ვ. დეკანოიძე, ლ. პ. ვაშაკიძე, ლ. კ. ვაშაყმაძე, კ. ე. თალაკვაძე, ნ. ა. თედიაშვილი, თ. ს. თორაძე, თ. მ. თანდილაშვილი, ვ. ვ. კახურაშვილი, მ. მ. კაპანაძე, ა. ა. კუკავა, მ. ვ. ლურსმანიშვილი, ლ. პ. მიქაძე, ე. უ. მაისურაძე, ნ. თ. მამატაშვილი, დ. ა. მახარობლიძე, ნ. გ. ნიკოლაიშვილი, ი. ს. ნაცვლიშვილი, ლ. ფ. ონიაშვილი, ზ. ი. პაპაშვილი, ი. ი. რამიშვილი, მ. ვ. სუხიაშვილი, გ. ვ. საბაშვილი, ნ. გ. სოხოიაშვილი, ნ. ფ. ქარსაშვილი, გ. ზ. ქარსელაძე, ე. ნ. ღრუბელაშვილი, ბ. გ. შონია, ვ. დ. შენგელია, ნ. დ. შაშიაშვილი, ც. შ. შენგელია, ა. ა. ჭოლოკავი, გ. ა. ხვატაში, ი. ა. ხოციტაშვილი, ლ. გ. ხარხელაური, ნ. ვ. ჯღერია, ზ. ი. პაპაშვილი.

მცენარეთა დაცვის განყოფილება

ზ. რ. აკოფოვა, ი. გ. ადამია, გ. გ. ბადურაშვილი, მ. თ. ბაღაშვილი, ნ. ა. გოგიჩაშვილი, ც. ე. გაბუნია, ლ. ხ. გაბუნია, ნ. შ. გვარამია, ს. მ. გრძელიშვილი, მ. კ. ვარდოშვილი, კ. დ. ვაშალომიძე, ლ. ა. კეკენაძე, ლ. გ. კიკნაძე, ზ. პ. კიკნაძე, ა. მ. ნაჭყებია, თ. შ. რევაზიშვილი, მ. ვ. რუხაძე, ე. გ. საკაშვილი, მ. ს. სამიტაშვილი, ნ. ვ. ტაბატაძე, ნ. ი. ფარულავა, ტ. ს. ქვაჩაძე, ნ. შ. ღუღუნიშვილი, ნ. შ. ჩერქეზიშვილი, ო. მ. ხუციშვილი.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტი

მ. ს. არუთინოვი, გ. დ. აბეჩხრიშვილი, ზ. მ. ავალიანი, ნ. ა. აბდანდაძე, ა. ვ. ამონაშვილი, ვ. ფ. ამირიძე, ა. გ. ბაქრაძე, ი. გ. ბახტაძე, ი. ნ. ბერიშვილი, ი. მ. ბუბაშვილი, ს. ბაღდავაძე, ვ. პ. გოზალოვი, ი. ა. გუგეშაშვილი, ნ. ი. გოგოლაძე, შ. ს. გნოლიძე, ბ. ნ. გორგიშელი, გ. ზ. გველუკაშვილი, შ. ი. დუგლეშვილი, თ. ა. დოლიძე, ვ. ვ. დათებაშვილი, გ. დ. დვალი, ჯ. ა. დუმბაძე, ჯ. შ. დეკანოძე, კ. თ. დოლიძე, გ. პ. ებანოიძე, დ. ე. ელოხბარაშვილი, ს. ს. ეფიმოვსკი, ა. ა. ვეფხვაძე, ნ. ბ. ვარდოსანიძე, ვ. ა. ზაუტაშვილი, ვ. ნ. ზაპაროეეცი, ა. ი. ივანიშვილი, ო. შ. ომეფაშვილი, რ. ა. ინასარიძე, ჯ. რ. კორთაძე, პ. შ. კუხალაშვილი, ს. ფ. კურტანიძე, ნ. ა. კაპანაძე, ყ. მ. კაპანაძე, ს. ზ. კაპანაძე, ბ. მ. კვარაცხელია, მ. ა. კოკოლაშვილი, უ. ლ. კერატიშვილი, რ. შ. მარსაგიშვილი, რ. ვ. მაზიაშვილი, რ. გ. მღებრიშვილი, ზ. ბ. მანჯავიძე, შ. წ. მოსიაშვილი, ვ. ვ. მეტრეველი, ნ. ბ. ზალსაგოი, შ. ვ. მეცხვარიშვილი, ო. ა. მეზღვრიშვილი, პ. ს. მალვენოვი, გ. ა. მელიქოვი, ა. ა. მეცხვარიშვილი, ი. მ. მამაცოვი, ვ. გ. მიქელოვი, მ. ი. მაისურაძე, გ. ბ. ნადირაძე, ჯ. ა. ომიაძე, ლ. მ. ოსკანოვი, შ. წ. ოვანოვი, მ. ი. ოჩხიკიძე, ე. გ. ოვჩარენკო, ა. კ. ონაშვილი, ბ. ი. რობაქიძე, გ. ა. სამხარაძე, მ. ს. სისოევი, ჟ. ა. სულაძე, რ. კ. საყვარელიძე, ა. გ. სეფიაშვილი, ო. ს. სოლომნშვილი, კ. ი. სამხარაძე, ჟ. (ბ.) ლ. სიხარულიძე, ა. ვ. ტაბატაძე, ნ. კ. ფარანგიშვილი, ნ. მ. ფარაგულაშვილი, ო. გ. ფოცხვერაშვილი, ე. მ. ქობულოვი, თ. გ. ქაჩლიშვილი, შ. ა. ღლონტი, ს. ნ. შანყულაშვილი, გ. შ. ყაიდარაშვილი, ზ. დ. ყალზაშვილი, ტ. პ. ჩხარტიშვილი, ს. ნ. ცინცაძე, შ. გ. ცერცვაძე, გ. მ. ძოწენიძე, ვ. კ. წერეთელი, ბ. ვ. წიგნაძე, ა. ი. ჭელიძე, შ. ნ. ჭოლოკიძე, ტ. ს. ჭუაძე, პ. ს. ხითარიოვი, ლ. ი. ხერიშვილი, ა. ა. ხვედელიძე, ნ. გ. ხიდეშელი, ტ. ი. ხოლუაშვილი, უ. ბ. ჯინაშვილი, ჯ. ნ. ჯოხაძე.

სატყეო მეურნეობის ფაკულტეტი

კ. ი. აბუთიძე, გ. ნ. აბესაძე, მ. ტ. არაბინაცი, ვ. გ. ბაღათურია, გ. ნ. ბეჟუაშვილი, ლ. კ. ბეჟუაშვილი, დ. ბ. ბერაძე, თ. ა. ბაინდურაშვილი, ჯ. ა. ბუზარიაშვილი, თ. ე. ბეჟუაშვილი, თ. ფ. გველესიანი, გ. კ. გელაშვილი, ლ. კ. გუმბერიძე, ვ. დ. დევიძე, ბ. პ. დოლარიძე, გ. (რ.) დ. ესაკია, ნ. პ. ვახტანგაძე, ზ. ს. ზედგენიძე, ნ. შ. თელია, კ. მ. კოკესაძე, ნ. ვ. კიკალეიშვილი, ლ. ს. კიზმარეიშვილი, მ. ლ. ლორია, მ. ბ. ლეჟავა, ბ. ა. ლომთათიძე, გ. ნ. მებაღიშვილი, გ. პ. მელაშვილი, ჯ. გ. მოწონელიძე, შ. ნ. მოურავიძე, დ. ი. ნოზაძე, გ. კ. უჩანეიშვილი, ვ. ი. სიხარულიძე, გ. ე. ტაბატაძე, მ. დ. ფაჩუაშვილი, ქ. თ. ღონღლიძე, კ. ა. ყულჯალიშვილი, გ. ა. ყალიბაგა, მ. გ. ჩიხორია. ბ. გ. ჩხეიძე, ტ. გ. ჩიქოდანი, ი. ზ. ცხვირიკაშვილი, ი. გ. ცინცაძე, მ. ი. წულაძე, კ. ა. ჭუბაბრია, დ. ს. ხუციშვილი, ს. მ. ხიხლეიშვილი, გ. გ. ხაზარაშვილი, ნ. ს. ჯინელიძე, თ. ლ. ჯობინაშვილი.

ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტი

ც. გ. ადოლაშვილი, ც. დ. არეშიძე, მ. მ. ანდღულაძე, ზ. გ. ანთაძე, ი. მ. ალელიშვილი, გ. ა. ბუაძე, გ. ს. გოგავა, ს. ი. გიორგაძე, ჯ. ე. გვაზავა, ს. ა. გელაშვილი, ნ. ა. გოგინაშვილი, გ. ტ. დევიძე, ლ. ა. ერჩიკი, გ. ვ. ელიავა, ლ. კ. ვაჩეიშვილი, ვ. ი. ზატიკაშვილი, უ. დ. ზაფარაშვილი, ვ. ი. თევზაძე, დ. რ. თავრთქილაძე, ი. შ. თედოზაშვილი, ბ. ი. ინასარიძე, გ. ა. იასამანოვი, ე. გ. ივანოვი, ვ. გ. კიბარია, თ. ი. კახიძე, გ